დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აი დი ეს ბორჯომი გრუფის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებსა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებებიც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით

და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი. იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ან კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2019 წლის 13 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა 5
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 6
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 20
5 ახალი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება 21
6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები 23
7 ძირითადი საშუალებები 26
8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში 27
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 28
10 ფულადი სახსრები დ ამათი ეკვივალენტები 29
11 საწესდებო კაპიტალი 29
12 ნასესხები სახსრები 30
13 სავაჭრო და სხვა დავალიანებები 31
14 მომსახურების ღირებულება 31
15 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 31
16 ფინანსური ხარჯები 31
17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 32
18 კაპიტალის მართვა 33
19 ფინანსური რისკის მართვა 33
20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები 37
21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 38
22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 38
23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 39
24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე 39

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება - 2018 წ. საქმიანობის მიმოხილვა

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	5,163	5,568
არამატერიალური აქტივები		11	30
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	8	659	808
სულ გრძელვადიანი აქტივები		**5,833**	**6,406**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		37	33
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,949	11,624
სხვა საგადასახადო მოთხოვნები, წმინდა		3,946	4,034
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4,451	664
სულ მოკლევადიანი აქტივები		**14,383**	**16,355**
სულ აქტივები		**20,216**	**22,761**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	3,443	3,443
გაუნაწილებელი მოგება		6,159	2,926
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებდი კაპიტალი		**9,602**	**6,369**
არა-საკონტროლო წილი		**14**	**13**
სულ კაპიტალი		**9,616**	**6,382**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	1,567
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**1,567**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	1,319	1,324
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	13	9,281	13,488
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**10,600**	**14,812**
სულ ვალდებულებები		**10,600**	**16,379**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**20,216**	**22,761**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 13 სექტემბერს:

_____

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გეორგი პავლოვის სახელით
2019 წლის 22 ივლისს დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების მიხედვით	4	**423**	**591**
ამონაგები მომსახურებიდან		**5,923**	**5,277**
მომსახურების ღირებულება	14	(2,753)	(2,510)
მთლიანი მოგება ჩამოსხმის მომსახურებიდან		**3,170**	**2,767**
დისტრიბუციის დანახარჯები		(30)	(201)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(835)	(889)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ (დანახარჯები)- წმინდა		147	(33)
საოპერაციო შემოსავალი		**2,875**	**2,235**
ფინანსური შემოსავალი		740	-
ფინანსური ხარჯები	16	(474)	(1,125)
წილი შვილობილი საწარმოების შედეგებიდან	8	14	20
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან	8	83	-
მოგება დაბეგვრამდე		**3,238**	**1,130**
მოგების გადასახადის დანახარჯი		-	-
წლის მოგება		**3,238**	**1,130**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,238**	**1,130**
მოგება მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისადმი		3,237	1,130
- არა-საკონტროლო წილისადმი		1	-
წლის მოგება		**3,238**	**1,130**
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისადმი		-	-
- არა-საკონტროლო წილისადმი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,238**	**1,130**

ათასობით აშშ დოლარში	კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებადი			არა საკონტროლო წილისადმი მიკუთვნებადი	სულ
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**3,443**	**1,797**	**5,240**	**13**	**5,253**
წლის მოგება	-	1,130	1,130	-	1,130
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,130	1,130	-	1,130
შვილობილ საწარმოებში არა საკონტროლო წილის შეძენა	-	(1)	(1)	-	(1)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**3,443**	**2,926**	**6,369**	**13**	**6,382**
წლის მოგება	-	3,237	3,237	1	3,238
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,237	3,237	1	3,238
შვილობილ საწარმოებში არა საკონტროლო წილის შეძენა	-	(4)	(4)	-	(4)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**3,443**	**6,159**	**9,602**	**14**	**9,616**

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,238	1,130
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	606	689
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		32	27
ზარალი, შემცირებული ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობით		(4)	(2)
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯები, წმინდა	16	(266)	1,125
უცხოური ვალუტის კონვერტირების სხვაობები		(142)	44
შვილობილი საწარმოების შედეგების წილი	8	(14)	(20)
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან	8	(83)	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		**3,367**	**2,993**
შემცირება (ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	4,557	(8,333)
ზრდა (შემცირება) მარაგებში		(4)	17
შემცირება (ზრდა) სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	13	(4,012)	5,269
შემცირება (ზრდა) სხვა საგადასახადო მოთხოვნებში, წმინდა		88	(48)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		**629**	**(3,095)**
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,996**	**(102)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან/საქმიანობაში გამოყენებული			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(203)	(213)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		4	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(13)	(9)
არა-საკონტროლო წილის შეძენა		(4)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან/საქმიანობაში გამოყენებული		**(216)**	**(222)**
სავალუტო კურსების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		7	(6)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	**664**	**994**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	**4,451**	**664**

იხილეთ შენიშვნები 8 და 12 იმ საინვესტიციო და საფინანსო ტრანზაქციების განმარტებისთვის, რომლებსაც არ მოუთხოვიათ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და არ შევიდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასთვის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში ჯგუფი).

კომპანია დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია წარმოადგენს სს ბორჯომის N3 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N3) და სს ბორჯომის N1 ჩამომსხმელი ქარხნის (ქარხანა N1) სამართალმემკვიდრეა, რომელიც შეერწყა კომპანიას 2015 წლის აპრილში.

ორივე ქარხანას, N1 და N3, ოპერირების ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ქარხანა N1 აშენდა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის დროს. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, განხორციელდა ქარხნების პრივატიზაცია და აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი.-ს მფლობელობის ქვეშ (ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი.-ს სამართალმემკვიდრე) ჩატარდა ეტაპობრივი რეკონსტრუქციები და მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი დაიწყო 1997 წელს, როდესაც განხორციელდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და წარმოების პროცესის გაუმჯობესება და მოდიფიცირება . მეორე ეტაპი დაიწყო 2004 წელს, რაც მოიცავდა ქარხანა N1-ს საწარმოო ობიექტების სრულ განახლებას და მოდერნიზაციას. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსხმის ხაზები და ქარხნის შენობა-ნაგებობები განახლდა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი. (შემდგომში მშობელი).

მშობელი ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოებს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც, ერთობლიობაში წარმოადგენს აი დი ეს ბორჯომი გრუფს (შემდგომში ჯგუფი). აი დი ეს ბორჯომი გრუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. კომპანია აი დი ეს ბორჯომი გრუფის წევრია და წარმოადგენს ბორჯომის მინერალური წყლის პროდუქციის უმსხვილეს მწარმოებელს ჯგუფს შიგნით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიას ფლობდა რისა ინვესთმენთს ელ თი დი (კვიპროსი). სი თი ეფ ჰოლდიგს ეს. ეი., კომპანია, რომელიც ლუქსემბურგის კანონმდებლობის მიხედვით არსებობს და არის დარეგისტრირებული, არის ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, რომელიც აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 60%-ს (2017: 60%). სი თი ეფ ჰოლდიგს ეს. ეი.-ს არცერთი საბოლოო მოსარგებლე მფლობელი არ აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 50% ან მეტს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია ორი შვილობილი საწარმო- სს ბორჯომი (2018 წლის 31 დეკემბერი: 98.5%; 2017 წლის 31 დეკემბერი: 98.25%) და აი დი ეს ბორჯომი პოლანდ.

კომპანიამ შეიძინა სს ბორჯომის აქციების 93.23% და სს ბორჯომის N2 ჩამოსასხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N2) აქციების 5% „ეი ბი სი ენთერფრაიზის ეს. ეი“-სგან 2015 წლის იანვარში. სს ბორჯომი ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა, რომელიც ფლობს ქარხანა N2-ს აქციების 20% და შეძენის თავდაპირველი მიზანი იყო მშობელი კომპანიის დონეზე ქარხანა N2-ს აქციების ფლობის ზრდა. შესყიდვის მომენტში, მშობელი კომპანია პირდაპირ ფლობდა ქარხანა N2-ს აქციების 75%, ამიტომ, შესყიდვის ტრანზაქციამ გამოიწვია მშობლის წილების ზრდა ქარხანა N2-ში თითქმის 100%-

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

მდე. 2018 წლის 2 მარტს, კომპანიის მიერ პირდაპირ ფლობილი 5% წილი ქარხანა N2-ში გაიყიდა მშობელ კომპანიაზე, სულ ანაზღაურებამ შეადგინა 247 ათასი აშშ დოლარი (610 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 8.

აი დი ეს ბორჯომი პოლანდ 2018 წლის მარტში დარეგისტრირდა, სადაც კომპანია 99%-ის მფლობელია. ახლად დაფუძნებული შვილობილი საწარმოს მიზანია აი დი ეს ბორჯომი გრუფის პროდუქციის პოლონეთში დისტრიბუცია. შვილობილ საწარმოს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის.

არც მშობელი და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია.

ძირითადი საქმიანობა. საწარმოო ობიექტების ფლობის და კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების ყოლის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსასხმელ მომსახურებას აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასათვის, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს საქართველოს ფილიალისთვის (შემდგომში ფილიალი), ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების მიხედვით.

კომპანია, ასევე, ფილიალისგან შესყიდული ბორჯომის მინერალური წყლის ექსპორტს ახორციელებს უკრაინაში, კერძო სს ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუციინი სისტემი-სთვის ('IDS') რომელიც წარმოადგენს ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს. კომპანიასა და ფილიალს შორის შეთანხმება სააგენტო შეთანხმებად ითვლება, სადაც კომპანია წარმოადგენს აგენტს. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსურ ანგარიშგებებზე გავლენა განმარტებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში (შენიშვნები 3,4).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ადგილია საქართველო, ბორჯომი, თორის ქუჩა #39

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით აშშ დოლარში (აშშ დოლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოშია, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. დღეისათვის საქართველოს აქვს კარგი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. საქართველო აგრძელებდა წინსვლას მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშში „ბიზნესის კეთება 2018", რომლის მიხედვით საქართველო მე-6 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით (190 ქვეყნიდან), 3 ადგილით წაიწია წინ გასული წლის რეიტინგთან შედარებით. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა თითქმის ყველა კატეგორიაში, რაც ადასტურებს მისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიციას. საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკების უმეტესობაზე მაღალი რეიტინგი აქვს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და მისი ინსტიტუტების გამჭვირვალობის მაღალი დონით.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალურ და თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, შეზღუდული რაოდენობის გადასახადები და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, მნიშვნელოვნად შემცირებული ადმინისტრაციული პროცედურები, უცხო ქვეყნებთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული, ინტეგრირებული და მულტი მოდალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განათლებული, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა წარმოადგენს საქართველოში წარმატებული ბიზნესისათვის მყარ საფუძველს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით, მოდიფიკაციის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, რაც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა ფასს 9-ისა და ფასს 15-ის, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. (იხილეთ შენიშვნა 3 ჯგუფის მიერ მიღებული ახალი და შესწორებული სტანდარტებისთვის). ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდეა გამოყენებული, იხილეთ შენიშვნა 24-ში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლი წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“)) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ჯგუფი გარიგებებს აქციონერებთან დებს. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა, როდესაც ის თანმიმდევრულია გარიგების ბუნებასთან, აღიარებს ნებისმიერ შემოსულობასა და ზარალს კაპიტალის მფლობელებთან ერთად, პირდაპირ კაპიტალის მეშვეობით და თვლის ამ გარიგებებს დამატებითი კაპიტალის შენატანების შემოსვლად ან დივიდენდების გადახდად. მსგავსი ტრანზაქციები არა კაპიტალის მფლობელებთან ერთად ან აქციონერების საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ დაკავშირებულ მხარეებთან ერთად აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებთან“ შესაბამისობაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არასაკონტროლო წილების შეძენა და გაყიდვა. არასაკონტროლო წილის მფლობელებთან ოპერაციების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს ეკონომიკური საწარმოს მოდელს. ნებისმიერი სხვა შეძენის ღირებულებასა და შეძენილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, კაპიტალის ოპერაციის სახით, აისახება უშუალოდ კაპიტალში. ჯგუფი გაყიდული არასაკონტროლო წილის გაყიდვიდან მიღებულ ანგარიშსწორებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოებია, რომლებზეც ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებს მათ და, როგორც წესი, ჯგუფი მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს ინვესტორის წილი შეძენის თარიღის შემდეგ ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით; (ii) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება; (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში ჯგუფის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩათვლით, ჯგუფი აღარ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება მეკავშირე საწარმოებში ჯგუფის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასვლა. როდესაც ჯგუფს აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი გაუნაწილებელი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების ცვლილება კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, საჭიროებისამებრ.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარია (აშშ დოლარი). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში, რაც ჯგუფის წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ")სავალუტო კურსით, აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო მოგებაში/(დანახარჯებში), წმინდად". წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაშია, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, რომელშიც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილად.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარს და ევრო 1 = 3.0701 ლარს.(2017 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.5922 ლარს და 1 ევრო = 3.1044 ლარს)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და მშენებლობებს, რომლებიც დასრულებისას კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები

გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როდესაც შესაფერისია, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში „სხვა არასაოპერაციო შემოსავალში/(დანახარჯებში), წმინდად".

ცვეთა. მიწას და მიმდინარე მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობა - ნაგებობები	3-50 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	2-18 წელი
ავტომობილები	2-10 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	2-5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვის დანახარჯები, აისახება ხარჯებში გაწევისთანავე.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 1-5 წლის განმავლობაში. ამორტიზაციის საფასური წარმოდგენილია მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების" ნაწილში (შენიშვნა 14).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 19.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *(“ECL”).* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური

საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში. საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ჯგუფის ყველა აქტივი ექცევა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შედგება „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან" და „ფულადი სახსრებისგან და მათი ეკვივალენტებისგან".

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI"). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფი იყენებს გაუფასურების ზოგად მოდელს, რაც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო ხარისხს.

შენიშვნა 19 გვაწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და დაშვებების ტექნიკების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც მოიცავს იმის განმარტებას, თუ როგორ ითვალისწინებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე..

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით. თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და ჯგუფი შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. ჯგუფი შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარება შეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნაროობით, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები) დისკონტირებულ თანხასა და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით" ("AC"), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ხვდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოიცავს „სავაჭრო და სხვა დავალიანებებს" და „ნასესხებ სახსრებს" ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულებების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ("catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სავაჭრო დავალიანებები ძირითადად მოიცავს არაუზრუნველყოფილ დავალიანებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ, შეძენილი პროდუქციისთვის, რომელიც შენიშვნა 1-ში აღწერილი სააგენტო ურთიერთობის შედეგადა არის შეძენილი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

პირობითი საშემოსავლო საგადასახადო დავალიანება, რომელიც დადგებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა “ „საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების“ ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დე ბიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, კორპორაციული მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივები წარდგენილი იყო წმინდა საფუძველზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები მოხსენებულია სხვა საგადასახადო მოთხოვნაში, წმინდად და სხვა საგადასახადო დავალიანებაში, წმინდად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ექვემდებარება დღგ-ს ადგილობრივი გაყიდვებისთვის, ხოლო საექსპორტო გაყიდვები თავისუფალია დღგ-სგან. შესაბამისად, იმის გამო, რომ კომპანია წინასწარ იხდის დღგ-ს ფილიალისგან პროდუქციის შეძენისას, ამავე დროს ის თავისუფალია დღგ-სგან ამ პროდუქციის საექსპორტო გაყიდვებისას (შენიშვნა 1). სხვაობის შედეგად, ჯგუფი აგროვებს დღგ-ს წინასწარი გადახდის მნიშვნელოვან ნაშთებს, რომელიც ჩაითვლება სხვა საგადასახადო დავალიანებაში წლის განმავლობაში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი მისი დაარსების შემდეგ გაიზარდა ქარხანა N1 და ქარხანა N3-ს კომპანიასთან შერწყმის შედეგად (შენიშვნა 11).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება დღგ-ს გარეშე.

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვები. კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსხმის მომსახურების გაწევას ფილიალისთვის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე (შენიშვნა 1). ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება დროის განმავლობაში იმ საანგარიშო პერიოდის დროს, როდესაც ეს მომსახურება გაიწევა, პროდუქციის რაოდენობის მითითებით და შესატყვისი ფასით თითოეულ ბოთლზე, როგორც შეთანხმებით არის განსაზღვრული. ამონაგები აღიარდება იმ თანხაზე, რომელზეც კომპანიას ინვოისის გაცემის უფლება აქვს. კლიენტზე ინვოისი გაიცემა ყოველთვიურ საფუძველზე და ანაზღაურება გადახდილი უნდა იყოს ინვოისის გაცემისას.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, ჯგუფი ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა.

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), რომელთა საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, მიმართ გამოყენებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც ილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების მიმართ გამოყენებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების საფუძველზე. კომპანია წარმოადგენს თავდაპირველად ფილიალისგან შეძენილი ბორჯომის პროდუქციის გაყიდვების აგენტს. ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების საფუძველზე აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია კლიენტს მიაწვდის პროდუქციას.

მიწოდება არ განხორციელდება მანამ, სანამ პროდუქცია არ იქნება მიწოდებული კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან კლიენტმა მიიღო გაყიდვების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ამონაგები გაყიდვებიდან, რომელიც სააგენტო შეთანხმების საფუძველზეა, ფასდება გაყიდული საქონელის მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით (გაყიდვების ფასი) ან თვითღირებულებით შემცირებული მოთხოვნით (შეძენის ფასი). ტრანსპორტირების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონელის მომწოდებლისგან კლიენტამდე მიტანასთან, კლასიფიცირებულია როგორც „დისტრიბუციის ხარჯები“ მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ნაწილში.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 22-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადები 20%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა 142 ათასი აშშ დოლარით გაზრდა ან 103 ათასი აშშ დოლარით შემცირება (2017 წლის 31 დეკემბერი: 137 ათასი დოლარით გაზრდა, 117 ათასი დოლარით შემცირება.)

სააგენტო შეთანხმებების შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება. ხელმძვანელობამ გამოიყენა განსჯა ამონაგების ბრუტო ნეტოს წინააღმდეგ საფუძველზე შესაფასებლად და მოსახსენებლად და განსაზღვრა, რომ ამონაგები ფილიალის საქონლის გაყიდვიდან (საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ) უნდა აღირიცხოს შეძენის ფასის გამოკლებით, ვინაიდან ჯგუფი ასრულებს აგენტის როლს მთელს გაყიდვის შეთანხმებაში. გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა ფაქტორები იმის განსასაზღვრად, ჯგუფი მოქმედებდა როგორც აგენტი თუ მთავრი მოქმედი პირი, რაც მთავარია, არის თუ არა ჯგუფი მთავარი მოვალე კლიენტისათვის, აქვს თუ არა მარაგებისა და საკრედიტო რისკი და ფასის დადგენისას მოქმედების თავისუფლება. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ ჯგუფს არ გააჩნია გაყიდვების განყოფილება და გაყიდვების პირობები (რაც მოიცავს გაყიდვების ფასებსა და რაოდენობებს) თანხმდება ფილიალსა და საბოლოო კლიენტებს შორის პირდაპირ.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩაითვლებოდა მთავარ მოქმედ პირად და არა აგენტად, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოადგენდა ბრუტო ამონაგებს 17,262 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 16,146 ათასი აშშ დოლარი) და გაყიდვების ღირებულება შეადგენდა 16,838 ათას აშშ დოლარს (2017: 15,555 ათასი აშშ დოლარი)

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფში მყოფი თითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის განსაზღვრისას გამოყენებული იყო ხელმძღვანელობის განსჯა. აი დი ეს ბორჯომი გრუფის ქართული საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტად განისაზღვრა აშშ დოლარი იმის საფუძველზე, რომ : a) საწარმოები მნიშვნელოვნად ინტერ-დაკავშირებულია და ისინი ერთ ბიზნესად უფრო მუშაობენ, ვიდრე ავტონომიურად; b) ქართული ოპერაციების ამონაგებები და დანახარჯები დივერსიფიცირებულია გარკვეული რაოდენობის ქვეყნებში და ამონაგების და დანახარჯების მხრივ არცერთი ეკონომიკური გარემო არ დომინირებს; c) მეორადი მაჩვენებლები გამოყოფს აშშ დოლარს, როგორც ვალუტას, ფინანსური საქმიანობის უმეტესობაში და ფულადი სახსრების შენარჩუნება აშშ დოლარშია. ფუნქციონალური ვალუტა რომ სხვაგვარად შეირჩეს, უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ზარალი სხვაგვარი იქნებოდა.

ინვესტიციების კლასიფიკაცია. 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ გაყიდა ნაწილი მისი წილისა შვილობილ საწარმოში (შენიშვნა 1), რამაც მფლობელობის წილი 19.7%-მდე შეამცირა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ინვესტიციის მიმღებზე მნიშვნელოვანი გავლენის არსებობის განსასაზღვრად გამოყენებული იყო ხელმძღვანელობის განსჯა. ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ფლობს 20% ნაკლებ წილს, კომპანიას გააჩნია იმის ძალაუფლება, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმღების ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაში და ინვესტიცია ს აღრიცხავს, როგორც ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში კაპიტალ მეთოდის მიხედვით (შენიშვნა 3). ხელმძღვანელობის განსჯა ეფუძნება შემდეგს:

- კომპანიას და ინვესტიციის მიმღებს ჰყავთ ერთიდაიგივე ხელმძღვანელობა
- კომპანია ჩართულია პოლიტიკის შემუშავების პროცესში
- კომპანია ინვესტიციის მიმღებისთვის არსებითი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა ფასს 9 და ფასს 15 სტანდარტები პირველად მიიღო იმ წლიური საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დაიწყო 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფმა ასევე არჩია ფასს 16 ადრეული მიღება 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტების მიღების შედეგად ჯგუფს მოუხდა მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა და რეტროსპექტიული კორექტირებების განხორციელება. ამ სტანდარტების მიღების გავლენა, განმარტებულია ქვემოთ.

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება ჯგუფმა ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. ჯგუფმა არჩია შესადარისი ციფრების არ გადაანგარიშება და ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 24 - ე შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულებით იყო გატარებული. ცვლილებებს ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ადგილი არ ჰქონიათ,

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები რეკლასიფიცირდა ასს 39 -ის მიხედვით სესხების და მოთხოვნების (“L&R”) შეფასების კატეგორიიდან სტანდარტის მიღების თარიღით. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები რეკლასიფიცირდა ასს 39 -ის მიხედვით სესხების და მოთხოვნების (“L&R”) შეფასების კატეგორიიდან ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში ფასს 9-ით, სტანდარტის მიღების თარიღით. სავაჭრო მოთხოვნების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმნიშვნელო იყო, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული თანხების კორექტირებები საჭირო არ გახდა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან” მიღება. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და მეთოდის ფარგლებში აირჩია ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხერხი. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებებში. ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ იყო არსებითი.

ფასს 16 -ის მიღება, „იჯარა“. ჯგუფს ადრე მიღებული აქვს ფასს 16, რომელიც მოითხოვს იჯარის ვალდებულებების აღიარებას იმ იჯარის ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო როგორც „საოპერაციო იჯარა“ ბასს 17 *იჯარები -ს* მიხედვით. ამ სტანდარტის მიღებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფზე.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძლება)

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ფაისკ (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი) 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შე ზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგ., მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო.

გადასინჯული ასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა

ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი მათ გამოყენებას და მათი გავლენის შეფასებას დაიწყებს 2020 წლის იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

არ არის მოსალოდნელი, რომ შემდგომი საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები რაიმე არსებით გავლენას იქონიებენ ჯგუფზე მათი მიღების შემდეგ:

- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	CIP*	სულ
ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარს	6,371	3,754	164	174	-	10,463
დამატებები	85	95	-	22	11	213
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	(63)	-	(3)	-	(66)
2017 წლის 31 დეკემბერს	**6,456**	**3,786**	**164**	**193**	**11**	**10,610**
დამატებები	149	35	-	11	8	203
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	(2)	-	-	(2)
2018 წლის 31 დეკემბერს	**6,605**	**3,821**	**162**	**204**	**19**	**10,811**
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 1 იანვარს	(1,559)	(2,694)	(61)	(103)	-	(4,417)
ცვეთის ხარჯი	(312)	(321)	(25)	(31)	-	(689)
გასვლები	-	61	-	3	-	64
2017 წლის 31 დეკემბერს	**(1,871)**	**(2,954)**	**(86)**	**(131)**	**-**	**(5,042)**
ცვეთის ხარჯი	(325)	(228)	(24)	(29)	-	(606)
გასვლები	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერს	**(2,196)**	**(3,182)**	**(110)**	**(160)**	**-**	**(5,648)**
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	**4,585**	**832**	**78**	**62**	**11**	**5,568**
2018 წლის 31 დეკემბერს	**4,409**	**639**	**52**	**44**	**19**	**5,163**

(*) CIP –მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	43	43
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	2,221	2,165
ავტომობილები	5	2
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	73	56
სულ	**2,342**	**2,266**

კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს და გარანტორს აი დი ეს ბორჯომი გრუფის საწარმოების მიერ ნასესხები სახსრებისთვის და ამასთან დაკავშირებული გარკვეული შეთანხმებების მონაწილეა. ამ შეთანხმებების პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დეფოლტი, რამაც შესაძლებელია შესაბამის გამსესხებლებს მისცეს სესხების ადრეული დაფარვის მოთხოვნის საშუალება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აი დი ეს ბორჯომი გრუფის საწარმოებმა დაარღვიეს შეთანხმების პირობები მათ სასესხო შეთანხმებებში, თუმცა, წლის ბოლომდე მიღებულ იქნა წერილი კრედიტორებისგან, სადაც ისინი უარს ამბობენ ბანკის უფლებაზე, მოითხოვოს სესხის დაუფარავი თანხების დაჩქარებულად დაფარვა. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 17.

ჯგუფის ძირითადი საშუალებების მუხლების წმინდა საბალანსო ღირებულება, რომელიც უზრუნველყოფის სახით დაგირავებულია ნახსენები ნასესხები სახსრებისთვის, იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	4,409	4,585
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	639	832
ავტომობილები	52	78
მარკეტინგისა და მერჩენდაიზინგის აღჭურვილობა	44	62
მიმდინარე მშენებლობები და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	19	11
სულ	**5,163**	**5,568**

კომპანიამ მისი უძრავი და მოძრავი ქონება უზრუნველყოფის სახით ჯგუფის ზემოთხსენებული ნასესხები სახსრებისთვის დააგირავა

8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წილი შვილობილ საწარმოში - ქარხანა N2-ში (შენიშვნა 1) იყო 19,7% (2017 წლის 31 დეკემბერი: 24.7%)

შვილობილი საწარმო საქართველოშია დაარსებული, მისი აქციები არ არის ბირჟაზე სავაჭროდ განთავსებული და შესაბამისად არ გააჩნია გამოქვეყნებული საბირჟო ფასების კოტირება.

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	808	788
წილი შვილობილი საწარმოს მოგება/(ზარალი)-დან	14	20
შვილობილ საწარმოში წილის გასვლა (შენიშვნა 1)	(163)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**659**	**808**

8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში (გაგრძელება)

2018 წლის მარტში, კომპანიამ ქარხანა N2-ში მისი წილის 5%, რომლის საბალანსო ღირებულება 164 ათასი აშშ დოლარი იყო, მიყიდა მშობელს 247 ათას აშშ დოლარად (610 ათასი ლარი). სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურების თანხას შორის მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხა, როგორც შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან. გასვლის გარიგების შედეგად მისაღები თანხის მოთხოვნა ფილიალისთვის ნასესხები სახსრების დავალიანებიდან გამოიქვითა იმავე თვეს.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი საწარმოს შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი აქტივები	2,164	1,982
გრძელვადიანი აქტივები	1,839	1,459
მოკლევადიანი ვალდებულებები	638	145
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
ამონაგები	1,568	1,445
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	67	80
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	67	80

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ანგარიშების მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	5,854	11,539
სავაჭრო ანგარიშების მოთხოვნები მესამე მხარეებისგან	-	1
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**5,854**	**11,540**
გადახდილი ავანსები	95	84
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,949**	**11,624**

სავაჭრო დავალიანება 4,879 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 9,839 ათასი აშშ დოლარი) შემცირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

სულ ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მოთხოვნებისგან, რომლების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება. ხელმძღვანელობა გამოითვლის აღდგენად თანხას, როგორც კლიენტისგან მისაღებ მოსალოდნელ სამომავლო ფულადი ნაკადების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას (რაც ეფუძნება შესაბამის, ყველაზე ახალ ინფორმაციას კლიენტის შესახებ) და ადარებს მას წლის ბოლოს მოთხოვნების ნაშთებს. თუ აღდგენადი თანხა მოთხოვნის თანხაზე მცირეა, ჯგუფი აღიარებს ამ თანხის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილი არ ჰქონია არსებითი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებას. აგრეთვე, ინდივიდუალური შეფასებისთვის, გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური კლიენტებისა და იმ სექტორების პერსპექტივების შეფასება, რომელშიც კლიენტები მუშაობენ.

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

არაგაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი:

ათასობით აშშ დოლარში	2017 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	2,793
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული:	
- 90 დღემდე	1,460
- 90-დან 180 დღემდე	1,303
- 180-დან 365 დღემდე	2,109
- 365 დღეზე მეტი	3,875
სულ სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	**11,540**

10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ნაშთები, რომელიც გადასახადია მოთხოვნის შესაბამისად	4,451	664
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**4,451**	**664**

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. საბანკო ნაშთები, რომელიც გადასახადია მოთხოვნის შესაბამისად ინახება საქართველოს ორ საუკეთესო ბანკში, რომლების რეიტინგი არის Ba3, Moody-ს სარეიტინგო სისტემით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 ათასი აშშ დოლარი დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტებში (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 352 ათასი აშშ დოლარი)

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 1 ლარით, რისი შენატანიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად განხორციელდა. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი, 2015 წლის 16 იანვარს, როდესაც მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 830 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და მეორე, ქარხნები N1 და N3-ის შერწყმის შედეგად კომპანიის კაპიტალში განხორციელდა შენატანი 2,612 ათასი აშშ დოლარის და 1 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად.

12 ნასესხები სახსრები

ათასობით აშშ დოლარში	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრების, რომელიც დაკავშირებული მეკავშირე მხარეებთან, ამჟამინდელი წილი (შენიშვნა 22)	აშშ დოლარი	12%	1,319	1,324
სულ, ერთი წლის განმავლობაში დასაფარი ნასესხები სახსრები			**1,319**	**1,324**

სესხის მოკლევადიანი ბუნების გამო, მისი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის რეალურ ღირებულებას, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებით, საბაზრო განაკვეთით, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იმ ნასესხები სახსრების ნაშთები, რომელიც დასაფარია ერთი წლის შემდეგ, 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მეკავშირე მხარეებთან დაკავშირებული გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 22)	USD	12%	1,319	2,891
შემცირებული: გრძელვადიანი ნასესხები სახსრების ამჟამინდელი წილი			(1,319)	(1,324)
სულ, ერთი წლის შემდეგ დასაფარი ნასესხები სახსრები			**-**	**1,567**

ნასესხები სახსრები მოპოვებულია აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასგან, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს ქართული ფილიალისგან, რომელსაც კომპანია ჩამოსასხმელ მომსახურებას უწევს. საპროცენტო და ძირი თანხის დავალიანებები გამოიქვითება შესაბამისი მოთხოვნებით ფილიალისგან ყოველთვიურად.

წმინდა ვალის შეჯერება. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის ანალიზს წმინდა ვალისა და ჯგუფის საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების მოძრაობის შესახებ ყველა წარდგენილი პერიოდისთვის:

ათასობით აშშ დოლარში	ნასესხები სახსრები
წმინდა ვალი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,042**
ფულადი ნაკადები	-
საფინანსო ხარჯები (შენიშვნა 16)	424
გამოქვითვა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებით	(1,575)
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,891**
ფულადი ნაკადები	-
საფინანსო ხარჯები (შენიშვნა 16)	250
გამოქვითვა შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვის მოთხოვნით	(247)
გამოქვითვა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებით	(1,575)
წმინდა ვალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,319**

13 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დავალიანებები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა 22)	9,141	13,365
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	**9,141**	**13,365**
თანამშრომელთა სარგებლის დაგროვილი ხარჯები	137	118
სხვა	3	5
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	**9,281**	**13,488**

მეკავშირე მხარეების მიმართ სულ სავაჭრო დავალიანებების ნაშთები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფილიალისგან შეძენილი პროდუქციის დავალიანებას მხარეებს შორის არსებული სააგენტო ურთიერთობების ფარგლებში და დენომინირებულია ლარში.

14 მომსახურების ღირებულება

ათასობით აშშ დოლარში	**2018**	**2017**
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	2,300	1,970
ძირითადი საშუალებების ცვეთა	448	531
სხვა	5	9
სულ მომსახურების ღირებულება	**2,753**	**2,510**

15 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასობით აშშ დოლარში	**2018**	**2017**
ოფისის მხარდაჭერა	225	250
ძირითადი საშუალებების ცვეთა	190	185
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	162	174
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	69	75
საქველმოქმედო დანახარჯები	37	39
საკომუნიკაციო დანახარჯები	25	25
ქირავნობის დანახარჯები	21	26
პროფესიული მომსახურება	13	25
სხვა	93	90
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**835**	**889**

16 ფინანსური ხარჯები

ათასობით აშშ დოლარში	**2018**	**2017**
მეკავშირე მხარეებისგან მიღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 22)	250	424
ამჟამინდელი ღირებულების დისკონტირების ანულირება	224	701
სულ ფინანსური ხარჯები, რომლებიც აღიარებულია მოგება ან ზარალში	**474**	**1,125**

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე.

თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა. საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს (გაშლილი ხელის პრინციპით) შორის. ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.
კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო ფასების გამოწვევა. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება იგი მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის და/ან საერთო ოპერაციებისათვის.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მისი ფასწარმოქმნის პოლიტიკა გაშლილი ხელის პრინციპის მიხედვით არის და დანერგა ადექვატური შიდა კონტროლი, იმისათვის, რომ შესაბამისობაში იყოს ახალ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან.

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. ჯგუფმა უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია აი დი ეს ბორჯომი გრუფის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 7). მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ჯგუფისთვის. აი დი ეს ბორჯომი გრუფი შესაბამისობაში იყო სავალო შეთანხმებულ პირობებთან 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მე-7 შენიშვნაში განმარტებული პირობების გარდა.

კომპანია გარანტორი იყო ჯგუფის ნასესხები სახსრებისთვის, რომლების საბალანსო ღირებულება შეადგენს 40, 145 ათას აშშ დოლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 22,012 ათასი აშშ დოლარი)

კომპანია თანამსესხებელი იყო ჯგუფის ნასესხების სახსრებისთვის, რომლის საბალანსო ღირებულება 8,406 ათასი აშშ დოლარი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2017 წლის 31 დეკემბერი: 32,624 ათასი აშშ დოლარი)

18 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზნები გახლავთ მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. ჯგუფის ხელმძღვანელობა კაპიტალ სტრუქტურას რეგულარულ საფუძველზე განიხილავს.

ჯგუფი განიხილავს, რომ მთლიან მართული კაპიტალი უნდა იყოს კაპიტალისა და ფინანსური ვალის ჯამი, რომელიც მოიცავს მოკლევადიან და გრძელვადიან ნასესხებ სახსრებს, ისე, როგორც ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. იმ კაპიტალის ოდენობა, რომელსაც მართავს ჯგუფი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 10, 935 ათასი აშშ დოლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 9,273 ათასი აშშ დოლარი)

19 ფინანსური რისკის მართვა.

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და არა საბალანსო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას. გამოცემული ფინანსური გარანტიებისთვის, კრედიტის გაზრდის ვალდებულებების, გაუქმებული საკრედიტო ხაზების და ექსპორტის / იმპორტის აკრედიტივებისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმუმი არის ვალდებულების ოდენობა.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. არ არსებობს გაცემული ფინანსური გარანტიები, კრედიტის გაცემის ვალდებულებები, გაუქმებული საკრედიტო ხაზები და ექსპორტის / იმპორტის აკრედიტივები.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით შემდეგია:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	4,451	664
სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშები (შენიშვნა 9)	5,854	11,540
სულ ფინანსური აქტივები	**10,305**	**12,204**

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობის ყველაზე დიდი რისკია; ამიტომ ხელმძღვანელობა სიფრთხილით მართავს მის დაქვემდებარებას საკრედიტო რისკისადმი.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებულია მეკავშირე მხარეებთან, ვისი საკრედიტო ხარისხიც არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ და რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება საქართველოს ორ საუკეთესო ბანკში, რომლების საკრედიტო ხარისხის მონიტორინგიც რეგულარულად ხორციელდება იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც მოწოდებულია დამოუკიდებელი საკრედიტო რეიტინგების Moody's მიერ (შენიშვნა 10).

ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური ვალდებულებები მცოცავი განაკვეთით, რითაც ზღუდავს საპროცენტო განაკვეთის რყევებთან დაკავშირებულ რისკებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი (EAD) არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტორების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ("EIR") ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირება ხდება ინსტრუმენტის *მომსახურების ვადის პერიოდში. მომსახურების ვადის პერიოდი* არის სავალო ინსტრუმენტების დაფარვის ვადამდე დარჩენილი სახელშეკრულებო პერიოდი, შესწორებული მოსალოდნელი წინასწარგადახდებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა ქმნის *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში.

ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

ECL-ის მოდელირება არ განსხვავდება შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც (a) მთლიანი საბალანსო ღირებულება და დისკონტირების განაკვეთი ემყარება ფულად ნაკადებს, რომლებიც ამოღებადი იყო აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ნაცვლად და (b) ECL ყოველთვის მომსახურების ვადაში ECL არის. POCI აქტივები არის ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას გაუფასურებული კრედიტით, როგორიცაა მაგალითად, გაუფასურებული სესხები, რომლებიც შეძენილია წარსულში საწარმოთა გაერთიანებისას.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:

    - მსესხებელი გარდაიცვალა;
    - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
    - მსესხებელმა დაარღვია ფინანსური პირობები (პირობა);
    - მოსალოდნელი ხდება, რომ დაიწყება მსესხებლის გაკოტრების პროცესი;

გამჟღავნების მიზნებისთვის ჯგუფის დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებულ კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება ჯგუფის ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

ჯგუფი ახორციელებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები შედგება მეკავშირე მხარეების მოთხოვნებისგან ჩამოსასხმელი მომსახურების უზრუნველსაყოფად და სააგენტო საფასურისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო შედეგების საკრედიტო ზარალის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან მიმართებით. ჯგუფი განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული ნაშთისთვის, რომელიდან ერთერთს მივყავართ საკრედიტო ზარალამდე, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სცენარის ალბათობა შეიძლება ძალიან დაბალი იყოს. ინდივიდუალური შეფასება პირველ რიგში ეფუძნება ჯგუფის გამოცდილი ხელმძღვანელობის განსჯას და თანხმდება ხსენებულ მეკავშირე მხარეებთან აი დი ეს ბორჯომი გრიფის დონეზე. განსჯა რეგულარულად მოწმდება იმისთვის, რომ შეამციროს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივს ზარალს შორის.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნებთან მეკავშირე მხარეებისგან.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც ჯგუფის ფინანსური შედეგები მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ იმ გაცვლითი კურსების ცვლილებებით, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას. ჯგუფი ახორციელებს გარკვეულ ტრანზაქციებს, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს ცვლადებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რისკის სამართავად, ამასთანავე ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს შეამციროს მსგავსი რისკი უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მართვისათვის.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
ათასობით აშშ დოლარში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია
ლარი	4,883	(9,141)	(4,258)	10,189	(13,359)	(3,170)
ევრო	-	-	-	2	-	2
წმინდა პოზიცია	**4,883**	**(9,141)**	**(4,258)**	**10,191**	**(13,359)**	**(3,168)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არამონეტარული აქტივები არ ითვლება რომ გაზრდის რაიმე სახის მატერიალურ სავალუტო რისკს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს მოგებისა და ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებულ სავალუტო კურსებში გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, რაც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარის გამყარება 10 %-ით (2017 წლის 31 დეკემბერი: გამყარება 10%-ით)	(426)	(317)
ლარის გაუფასურება 10 %-ით (2017 წლის 31 დეკემბერი: გაუფასურება 10%-ით)	426	317

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ის რისკია, როდესაც ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს გადახდის ვალდებულებები მათი დაფარვის ვადებში. ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგი და მართვა სიფრთხილით ხორციელდება. ჯგუფს გააჩნია დეტალური დაბიუჯეტება და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესი იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია ადექვატური ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები, რათა დააკმაყოფილოს გადახდის ვალდებულებები.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მომდევნო ცხრილი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებისთვის დარჩენილ სახელშეკრულებო დაფარვის ვადების შესახებ. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, რაც ეყრდნობა ყველაზე ადრინდელ ვადას, როდესაც ჯგუფს შესაძლოა მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს ძირითად და საპროცენტო ფულად ნაკადებს.

ათასობით აშშ დოლარში	1-დან 6 თვემდე	7 თვიდან 1 წლამდე	ერთ წელზე მეტი მაგრამ 2 წელზე ნაკლები	ორ წელზე მეტი მაგრამ 5 წელზე ნაკლები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო დავალიანებების ანგარიშები	9,141	-	-	-	9,141
ნასესხები სახსრები	787	609	-	-	1,396
სულ	**9,928**	**609**	**-**	**-**	**10,537**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო დავალიანებების ანგარიშები	13,365	-	-	-	13,365
ნასესხები სახსრები	787	787	1,575	133	3,282
სულ	**14,152**	**787**	**1,575**	**133**	**16,647**

20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაკეთებულია ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებისა“ და ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასების“ მიხედვით. *რეალური ღირებულება* წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ნაწილისათვის არ არსებობს ხელმისაწვდომი ბაზარი, ამიტომ განსჯა აუცილებელია რეალური ღირებულების შესაფასებლად, რაც ეყრდნობა მიმდინარე ეკონომიკურ პირობებს და ინსტრუმენტისთვის მიკუთვნებად სპეციფიურ რისკებს. აქ წარმოდგენილი შეფასებები არ მიანიშნებს იმ თანხებზე, რომლებიც რეალიზებაც ჯგუფს შეეძლო ბირჟის ბაზარზე მისი კონკრეტული ინსტრუმენტის სრულად გაყიდვის შეხვევაში.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შემდეგი მეთოდები და დაშვებები გამოიყენა იმ ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლებისთვისაც მსგავსი ღირებულების შეფასება განხორციელებადია: რეალური ღირებულება შეფასდა რომ იქნება იგივე, რაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა დავალიანებების, ბანკის ოვერდრაფტების და ერთი წლის განმავლობაში დასაფარი სესხების საბალანსო ღირებულება, ფინანსური ინსტრუმენტების მოკლევადიანი ბუნების გამო. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც მესამე დონის რეალური ღირებულებები რეალური ღირებულების იერარქიაში, ემპირიული მონაცემების გამოყენების გამო,

20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ჯგუფის სესხების საბალანსო ღირებულება რომელიც ერთი წლის შემდგე არის დასაფარი, აგრეთვე ითვლება, რომ არის რეალურ საბაზრო განაკვეთთან გონივრულად მიახლოებული იმ სესხებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის დონე და დაფარვის ვადები საანგარიშო თარიღისთვის.

ითვლება, რომ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მათი რეალური ღირებულების გონივრული შეფასებაა, რადგან ამოუღებადი თანხების ანარიცხი ითვლება საკრედიტო რისკის გავლენის ასახვისათვის საჭირო დისკონტირების გონივრულ შეფასებად

21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები „FVTPL“-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები „FVOCI“-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები „FVOCI“-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა „FVTPL“-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი მოხვდა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში და ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარდა ამორტიზირებული ღირებულებით.

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	ურთიერთობა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,854	11,539
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	9,141	13,365
ერთი წლის განმავლობაში დასაფარი ნასესხების სახსრები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,319	1,324
ერთი წლის მერე დასაფარი ნასესხები სახსრები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	1,567

სავაჭრო დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიმართ შეძენის დღიდან ორ თვეში დასაფარი და უპროცენტოა. დავალიანების ნაშთი ფილიალისგან შეძენილი საქონლისთვის არი, შენიშვნა 1-ში განმარტებული სააგენტო ურთიერთობის ფარგლებში.

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლისა და დანახარჯები მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	**ურთიერთობა**	**2018**	**2017**
ამონაგები სააგენტო შეთანხმებების მიხედვით გაყიდვებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	423	591
ამონაგები ჩამოსხმის მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,923	5,277
დასრულებული ნაწარმის შეძენა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	19,741	15,555
საფინანსო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(250)	(424)

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავრი ხელმძღვანელი პირები არიან გენერალური და რწმუნებული დირექტორები. მათთვის გადახდილი კომპენსაცია სრული განაკვეთით აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე მომსახურების გაწევისათვის შედგება საკონტრაქტო ხელფასებისა ბონუსებისგან 13 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 13 ათასი აშშ დოლარი).

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრიდან წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება რაიმე სახის გავლენა იქონიოს ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის, ფასს 9 და ფასს 15-ით შესწორებული სააღრიცხვო პოლიტიკა იყო შემდეგი:

ფინანსური ინსტრუმენტები- შეფასების მთავარი პირობები.. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, ისე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადახდებით, გარდა იმათისა, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნას“ და „ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებებს. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა დავალიანებებს“ და „ნასესხებ სახსრებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგროც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა. ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, წარმოებული საქონლის კონკრეტული რაოდენობის მინიშნებით კლიენტთან დადებული ჩამოსხმის შეთანხმების მიხედვით. გაყიდვების ფასი თითოეულ ბოთლზე განისაზღვრება შეთანხმებით.

შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა 2018

1. კომპანია, მისი განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს და ის მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შეიქმნა და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404485053.

კომპანია წარმოადგენს სს ბორჯომის N3 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N3) და სს ბორჯომის N1 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N1) სამართალმემკვიდრეს, რომლების შერწყმა კომპანიასთან მოხდა 2015 წლის აპრილში.

ორივე ქარხანას, N1 და N3, ოპერირების ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ქარხანა N1 აშენდა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის დროს. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, განხორციელდა ქარხნების პრივატიზაცია და აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი.-ს მფლობელობის ქვეშ (ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი.-ს სამართალმემკვიდრე) ჩატარდა ეტაპობრივი რეკონსტრუქციები და მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი დაიწყო 1997 წელს, როდესაც განხორციელდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და წარმოების პროცესის გაუმჯობესება და მოდიფიცირება . მეორე ეტაპი დაიწყო 2004 წელს, რაც მოიცავდა ქარხანა N1-ს საწარმოო ობიექტების სრულ განახლებას და მოდერნიზაციას. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსხმის ხაზები და ქარხნის შენობა-ნაგებობები განახლდა.

კომპანიის ერთადერთი მფლობელი არის აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი. (შემდგომში მშობელი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელს.

აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოებს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც, ერთობლიობაში წარმოადგენს აი დი ეს ბორჯომი გრუფს (შემდგომში ჯგუფი). აი დი ეს ბორჯომი გრუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ოპერირებას უწევს ჩამოსასხმელ ობიექტებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიებს საქართველოში, ლიეტუვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფს გააჩნია ბორჯომის ხეობაში და საქართველოს სხვა წყაროებში წყლის გამოყენების ლიცენზია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია ორი შვილობილი საწარმო- სს ბორჯომი (2018 წლის 31 დეკემბერი: 98.5%; 2017 წლის 31 დეკემბერი: 98.25%) და აი დი ეს ბორჯომი პოლანდ.

კომპანიამ შეიძინა სს ბორჯომის აქციების 93.23% და სს ბორჯომის N2 ჩამოსასხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N2) აქციების 5% „ეი ბი სი ენთერფრაიზის ეს. ეი“-სგან 2015 წლის იანვარში. სს ბორჯომი ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა, რომელიც ფლობს ქარხანა N2-ს აქციების 20% და შეძენის თავდაპირველი მიზანი იყო მშობელი კომპანიის დონეზე ქარხანა N2-ს აქციების ფლობის ზრდა. შესყიდვის მომენტში, მშობელი კომპანია პირდაპირ ფლობდა ქარხანა N2-ს აქციების 75%, ამიტომ, შესყიდვის ტრანზაქციამ გამოიწვია მშობლის წილების ზრდა ქარხანა N2-ში თითქმის 100%-მდე. 2018 წლის 2 მარტს, კომპანიის მიერ პირდაპირ ფლობილი 5% წილი ქარხანა N2-ში გაიყიდა მშობელ კომპანიაზე.

აი დი ეს ბორჯომი პოლანდ 2018 წლის მარტში დარეგისტრირდა, სადაც კომპანია 99%-ის მფლობელია. ახლად დაფუძნებული შვილობილი საწარმოს მიზანი აი დი ეს ბორჯომი გრუფის პროდუქციის პოლონეთში დისტრიბუციაა. შვილობილ საწარმოს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის.

ძირითადი საქმიანობა. საწარმოო ობიექტების ფლობის და კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების ყოლის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსასხმელ მომსახურებას აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასათვის, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს საქართველოს ფილიალისთვის (შემდგომში ფილიალი), ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების მიხედვით. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია აწარმოებს მინერალური წყლების პროდუქციის უმეტეს წილს.

კომპანია, ასევე, ფილიალისგან შესყიდული ბორჯომის მინერალური წყლის ექსპორტს ახორციელებს უკრაინაში, მის ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსთვის.

მოქმედებს რა, როგორც ფილიალის გაყიდვების აგენტი, კომპანია წარმოქმნის ამონაგებს, რაც წარმოადგენს გაყიდული მარაგების ღირებულებასა და გაყიდვების ფასებს შორის სხვაობას.

თუმცა, კომპანიისათვის ფულადი ნაკადების შემოდინების თავდაპირველი წყარო მაინც ჩამოსხმის მომსახურებაა, რომელიც გაეწევა ფილიალს ორ მხარეს შორის ხელმოწერილი ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე. ჩამოსხმის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოიქმნება ფაქტობრივად წარმოებული ბოთლების რაოდენობის საფუძველზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2017 წელთან შედარებით, მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018 წელს. ზრდამ 12% შეადგინა.

ამონაგების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით:

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა, რაც უკავშირდება მთლიანად ბორჯომი გრუფის გაყიდვების ზრდას.
- ახალი პროდუქციის წარდგენა
- საორგანიზაციო და წარმოების პროცესების გაუმჯობესება; და ა.შ.

კომპანიის ამონაგები პირდაპირ კავშირშია წარმოებული ბოთლების რაოდენობასთან, მაშინ, როდესაც მომსახურების საფასური ფიქსირებულად შენარჩუნდა ბოლო წლების განმავლობაში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ბორჯომი, თორის ქუჩა #39.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია აქტიურად არის ჩაბმული ახალი გენერალური გეგმის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელია, რომ ჩატარდება სასაწყობო ნაწილის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია.

3. კომპანიის მთავარი ფინანსური და არა - ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასობით აშშ დოლარში	**2018**	**2017**
ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების მიხედვით	423	591
მომსახურების ამონაგები	5,923	5,277
მომსახურების ხარჯი	(2,753)	(2,510)
სულ აქტივები	20,216	22,761

2018 და 2018 წლებში წარმოებული ბოთლების რაოდენობა:



	Glass	Pet	Can
2017	133,576,616	138,891,447	12,937,682
2018	144,740,000	155,752,190	23,904,480

მთავარი ცვლილებების განმარტება:

1. მომსახურების ღირებულების გაზრდა ამონაგების გაზრდის შედეგია (ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა). ამონაგების გაზრდის შესახებ განმარტებები მოცემულია ზემოთ, პირველ პარაგრაფში. კომპანიის მომსახურების ხარჯი ძირითადად შედგება წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ცვეთის და თანამშრომლების ხარჯებისგან. წარმოების გაზრდილმა მოცულობამ გამოიწვია ნამუშევარი საათების გაზრდა და შესაბამისად ხელფასების ხარჯების ზრდაც;
2. სულ აქტივების შემცირება ფილიალისგან სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების შემცირების შედეგია. მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი წილის ანგარიშსწორება იგეგმება 2019 წელს.

3. როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა ყველა სახის პროდუქციაში, რაც, უპირველესად ბორჯომის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდის შედეგია.

არა-ფინანსური მაჩვენებლები

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიას თანამშრომლების რაოდენობა 330-350 -ის ფარგლებშია. კომპანიას გააჩნია კარგად სტრუქტურირებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარების მქონე კანდიდატების დაქირავება ხდება კომპანიის მიერ.

როგორც დამქირავებელი, კომპანია უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინსტრუმენტებსა და თანმიმდევრულ საკვალიფიკაციო ტრენინგებს თანამშრომლებისთვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კლიენტებისათვის საუკეთესო მომსახურების გაწევა. კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს განსაკუთრებულ დაწინაურების შესაძლებლობებს, დადებით სამუშაო გარემოს, კონკურენტუნარიან ხელფასებს შრომისმოყვარე, მიზანდასახული პირებისათვის, სადაც თანამშრომელთა უფლებები კარგად დაცულია და კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ხორციელდება ამის მონიტორინგი. კომპანიის საწარმოო ობიექტები, რომლებიც მდებარეობს ქალაქ ბორჯომში, რეგიონში მთავარი დამსაქმებელია.

(ii)ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიამ მისი ოპერირების წლების განმავლობაში, ზრუნვისა და პროფესიონალიზმის მეშვეობით, კლიენტებთან ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობა ჩამოაყალიბა, რამაც გამოიწვია საქონლის დაბრუნების და /ან კლიენტების უკმაყოფილების მცირე რაოდენობა.

კომპანიის მთავრი მომწოდებლები და კლიენტები დაკავშირებული მხარეებია, თუმცა ტრანზაქციები ხორციელდება შესაბამის პროფესიონალურ ჩარჩოების ფარგლებში და სათანადო მზრუნველობით.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. კომპანიის საგადასახადო სააღრიცხვო სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია.

კომპანიის ბუღალტერიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე პერსონალით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, იმისათვის, რომ თვალყური ადევნონ ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომპანიაზე.

კომპანიას საგადასახადო ორგანოებთან დავის შეზღუდული ისტორია გააჩნია და საერთოდ არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმის შემთხვევა.

4. იმ თანხების დამატებითი განმარტებები, რომლებიც მოცემულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში

კომპანიის ლიდერი პოზიცია ბაზარზე და ძლიერი ფინანსური წარმადობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის გამოწვეული:

- *კომპანიის ხელმძღვანელობა*: კომპანიის ხელმძღვანელობას საკმარისი სამუშაო გამოცდილება აქვს ამ ინდუსტრიაში და ისინი 100%-ით ჩართულები არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც საშუალებას იძლევა ბიზნესში მოქნილობისა და ცვლილებების საქმის კურსში ყოფნის;
- *ჩამოსხმის მომსახურების ტრადიციებისა და წარმატებული ოპერირების ისტორია.*

5. მთავარი რისკები და გაურკვევლობა

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის ხელმძვანელობამ დანერგა მთელი რიგი საკონტროლო პროცედურები, იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ჯანსაღი მოვალეების ბალანსი, გამოავლინოს რისკფაქტორები და დროულად უპასუხოს მათ. კომპანიის მოთხოვნებისა და დავალიანებების თითქმის 100% დაკავშირებული მხარეებისგან ან მათ მიმართ არის და არ ყოფილა დეფოლტის ან/და მათი ვალდებულებების შესრულების მნიშვნელოვანი შეფერხების შემთხვევები.

კომპანიისათვის მთავარი რისკად საკრედიტო რისკის კონცენტრაცია და მნიშვნელოვნად მის ერთადერთ კლიენტზე- აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ, ვი.-ს ქართულ ფილიალზე დამოკიდებულება შეიძლება ჩაითვალოს.

ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას ერთადერთი კლიენტი ჰყავს და სპეციალიზებულია მხოლოდ ბორჯომის უგაზო და მინერალური წყლის წარმოებაზე, იმ ბაზრის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, სადაც ბორჯომი იყიდება, კომპანიის მთავარი წარმატებული განვითარების ასპექტია.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება

არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები ექცევა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებებისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის ქვეშ. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. კომპანია არ იყენებს ცვლადებს სავალუტო რისკის სამართავად, ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს ამ რისკისთვის თავის არიდებას უცხოური ვალუტაში მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ერთ დონეზე (მეტნაკლებად სტაბილურად) მართვით.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს გადახდის ვალდებულებები მათი დაფარვის ვადებში. კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მონიტორინგი და მართვა ფრთხილად ხორციელდება. კომპანიას გააჩნია დეტალური ბიუჯეტირებისა და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესი, რათა დარწმუნდეს, რომ მას ადექვატური რაოდენობის ფულადი სახსრები გააჩნია იმისათვის, რომ მისი გადახდების ვალდებულებები შეასრულოს.

შენიშვნა:. კომპანია არ იყო ჩართული არანაირ კვლევებისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში ამ პერიოდისათვის და არ ჰქონია ადგილი კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვას.*

კომპანიის შვილობილი საწარმოები- სს ბორჯომი უოთერს ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა და არ აწარმოებს არანაირ ოპერაციებს, მაშინ, როდესაც აი დი ეს ბორჯომი პოლანდ-ს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები, ფაქტობრივად გვაწვდის ინფორმაციას შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიას წარმადობის შესახებ

2019 წლის 13 სექტემბერი

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გეორგი პავლოვის სახელით
2019 წლის 22 ივლისს დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე.

აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა 5
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 6
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 20
5 ახალი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება 21
6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები 23
7 ძირითადი საშუალებები 26
8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში 27
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 28
10 ფულადი სახსრები დ ამათი ეკვივალენტები 29
11 საწესდებო კაპიტალი 29
12 ნასესხები სახსრები 30
13 სავაჭრო და სხვა დავალიანებები 31
14 მომსახურების ღირებულება 31
15 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 31
16 ფინანსური ხარჯები 31
17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 32
18 კაპიტალის მართვა 33
19 ფინანსური რისკის მართვა 33
20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები 37
21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 38
22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 38
23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 39
24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე 39

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება - 2018 წ. საქმიანობის მიმოხილვა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები"), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აი დი ეს ბორჯომი გრუფის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად - „ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს"-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საარღიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA"-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას" (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებსა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებებიც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით

და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი. იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ან კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2019 წლის 13 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	5,163	5,568
არამატერიალური აქტივები		11	30
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	8	659	808
სულ გრძელვადიანი აქტივები		**5,833**	**6,406**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		37	33
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,949	11,624
სხვა საგადასახადო მოთხოვნები, წმინდა		3,946	4,034
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4,451	664
სულ მოკლევადიანი აქტივები		**14,383**	**16,355**
სულ აქტივები		**20,216**	**22,761**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	3,443	3,443
გაუნაწილებელი მოგება		6,159	2,926
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებდი კაპიტალი		**9,602**	**6,369**
არა-საკონტროლო წილი		**14**	**13**
სულ კაპიტალი		**9,616**	**6,382**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	-	1,567
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**1,567**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	1,319	1,324
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	13	9,281	13,488
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**10,600**	**14,812**
სულ ვალდებულებები		**10,600**	**16,379**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**20,216**	**22,761**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 13 სექტემბერს:

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გეორგი პავლოვის სახელით
2019 წლის 22 ივლისს დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების მიხედვით	4	**423**	**591**
ამონაგები მომსახურებიდან		**5,923**	**5,277**
მომსახურების ღირებულება	14	(2,753)	(2,510)
მთლიანი მოგება ჩამოსხმის მომსახურებიდან		**3,170**	**2,767**
დისტრიბუციის დანახარჯები		(30)	(201)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(835)	(889)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ (დანახარჯები)- წმინდა		147	(33)
საოპერაციო შემოსავალი		**2,875**	**2,235**
ფინანსური შემოსავალი		740	-
ფინანსური ხარჯები	16	(474)	(1,125)
წილი შვილობილი საწარმოების შედეგებიდან	8	14	20
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან	8	83	-
მოგება დაბეგვრამდე		**3,238**	**1,130**
მოგების გადასახადის დანახარჯი		-	-
წლის მოგება		**3,238**	**1,130**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,238**	**1,130**
მოგება მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისადმი		3,237	1,130
- არა-საკონტროლო წილისადმი		1	-
წლის მოგება		**3,238**	**1,130**
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისადმი		-	-
- არა-საკონტროლო წილისადმი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,238**	**1,130**

ათასობით აშშ დოლარში	კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებადი			არა საკონტროლო წილისადმი მიკუთვნებადი	სულ
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**3,443**	**1,797**	**5,240**	**13**	**5,253**
წლის მოგება	-	1,130	1,130	-	1,130
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,130	1,130	-	1,130
შვილობილ საწარმოებში არა საკონტროლო წილის შეძენა	-	(1)	(1)	-	(1)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**3,443**	**2,926**	**6,369**	**13**	**6,382**
წლის მოგება	-	3,237	3,237	1	3,238
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,237	3,237	1	3,238
შვილობილ საწარმოებში არა საკონტროლო წილის შეძენა	-	(4)	(4)	-	(4)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**3,443**	**6,159**	**9,602**	**14**	**9,616**

ათასობით აშშ დოლარში	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,238	1,130
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	606	689
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		32	27
ზარალი, შემცირებული ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობით		(4)	(2)
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯები, წმინდა	16	(266)	1,125
უცხოური ვალუტის კონვერტირების სხვაობები		(142)	44
შვილობილი საწარმოების შედეგების წილი	8	(14)	(20)
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან	8	(83)	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		**3,367**	**2,993**
შემცირება (ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	4,557	(8,333)
ზრდა (შემცირება) მარაგებში		(4)	17
შემცირება (ზრდა) სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	13	(4,012)	5,269
შემცირება (ზრდა) სხვა საგადასახადო მოთხოვნებში, წმინდა		88	(48)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		**629**	**(3,095)**
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,996**	**(102)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან/საქმიანობაში გამოყენებული			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(203)	(213)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		4	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(13)	(9)
არა-საკონტროლო წილის შეძენა		(4)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან/საქმიანობაში გამოყენებული		**(216)**	**(222)**
სავალუტო კურსების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		7	(6)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	**664**	**994**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	**4,451**	**664**

იხილეთ შენიშვნები 8 და 12 იმ საინვესტიციო და საფინანსო ტრანზაქციების განმარტებისთვის, რომლებსაც არ მოუთხოვიათ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და არ შევიდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასთვის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში ჯგუფი).

კომპანია დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404485053.

კომპანია წარმოადგენს სს ბორჯომის N3 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N3) და სს ბორჯომის N1 ჩამომსხმელი ქარხნის (ქარხანა N1) სამართალმემკვიდრეა, რომელიც შეერწყა კომპანიას 2015 წლის აპრილში.

ორივე ქარხანას, N1 და N3, ოპერირების ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ქარხანა N1 აშენდა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის დროს. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, განხორციელდა ქარხნების პრივატიზაცია და აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი.-ს მფლობელობის ქვეშ (ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი.-ს სამართალმემკვიდრე) ჩატარდა ეტაპობრივი რეკონსტრუქციები და მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი დაიწყო 1997 წელს, როდესაც განხორციელდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და წარმოების პროცესის გაუმჯობესება და მოდიფიცირება . მეორე ეტაპი დაიწყო 2004 წელს, რაც მოიცავდა ქარხანა N1-ს საწარმოო ობიექტების სრულ განახლებას და მოდერნიზაციას. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსხმის ხაზები და ქარხნის შენობა-ნაგებობები განახლდა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი. (შემდგომში მშობელი).

მშობელი ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოებს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც, ერთობლიობაში წარმოადგენს აი დი ეს ბორჯომი გრუფს (შემდგომში ჯგუფი). აი დი ეს ბორჯომი გრუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. კომპანია აი დი ეს ბორჯომი გრუფის წევრია და წარმოადგენს ბორჯომის მინერალური წყლის პროდუქციის უმსხვილეს მწარმოებელს ჯგუფს შიგნით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიას ფლობდა რისა ინვესთმენთს ელ თი დი (კვიპროსი). სი თი ეფ ჰოლდიგს ეს. ეი., კომპანია, რომელიც ლუქსემბურგის კანონმდებლობის მიხედვით არსებობს და არის დარეგისტრირებული, არის ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, რომელიც აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 60%-ს (2017: 60%). სი თი ეფ ჰოლდიგს ეს. ეი.-ს არცერთი საბოლოო მოსარგებლე მფლობელი არ აკონტროლებს მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალის 50% ან მეტს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია ორი შვილობილი საწარმო- სს ბორჯომი (2018 წლის 31 დეკემბერი: 98.5%; 2017 წლის 31 დეკემბერი: 98.25%) და აი დი ეს ბორჯომი პოლანდ.

კომპანიამ შეიძინა სს ბორჯომის აქციების 93.23% და სს ბორჯომის N2 ჩამოსასხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N2) აქციების 5% „ეი ბი სი ენთერფრაიზის ეს. ეი“-სგან 2015 წლის იანვარში. სს ბორჯომი ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა, რომელიც ფლობს ქარხანა N2-ს აქციების 20% და შეძენის თავდაპირველი მიზანი იყო მშობელი კომპანიის დონეზე ქარხანა N2-ს აქციების ფლობის ზრდა. შესყიდვის მომენტში, მშობელი კომპანია პირდაპირ ფლობდა ქარხანა N2-ს აქციების 75%, ამიტომ, შესყიდვის ტრანზაქციამ გამოიწვია მშობლის წილების ზრდა ქარხანა N2-ში თითქმის 100%-

1 აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

მდე. 2018 წლის 2 მარტს, კომპანიის მიერ პირდაპირ ფლობილი 5% წილი ქარხანა N2-ში გაიყიდა მშობელ კომპანიაზე, სულ ანაზღაურებამ შეადგინა 247 ათასი აშშ დოლარი (610 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 8.

აი დი ეს ბორჯომი პოლანდ 2018 წლის მარტში დარეგისტრირდა, სადაც კომპანია 99%-ის მფლობელია. ახლად დაფუძნებული შვილობილი საწარმოს მიზანია აი დი ეს ბორჯომი გრუფის პროდუქციის პოლონეთში დისტრიბუცია. შვილობილ საწარმოს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის.

არც მშობელი და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია.

ძირითადი საქმიანობა. საწარმოო ობიექტების ფლობის და კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების ყოლის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსასხმელ მომსახურებას აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასათვის, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს საქართველოს ფილიალისთვის (შემდგომში ფილიალი), ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების მიხედვით.

კომპანია, ასევე, ფილიალისგან შესყიდული ბორჯომის მინერალური წყლის ექსპორტს ახორციელებს უკრაინაში, კერძო სს ინდუსტრიალნი ტა დისტრიბუციინი სისტემი-სთვის ('IDS') რომელიც წარმოადგენს ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს. კომპანიასა და ფილიალს შორის შეთანხმება სააგენტო შეთანხმებად ითვლება, სადაც კომპანია წარმოადგენს აგენტს. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსურ ანგარიშგებებზე გავლენა განმარტებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში (შენიშვნები 3,4).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ადგილია საქართველო, ბორჯომი, თორის ქუჩა #39

წარსადგენი ვალუტა.. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით აშშ დოლარში (აშშ დოლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოშია, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. დღეისათვის საქართველოს აქვს კარგი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. საქართველო აგრძელებდა წინსვლას მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშში „ბიზნესის კეთება 2018", რომლის მიხედვით საქართველო მე-6 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით (190 ქვეყნიდან), 3 ადგილით წაიწია წინ გასული წლის რეიტინგთან შედარებით. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა თითქმის ყველა კატეგორიაში, რაც ადასტურებს მისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიციას. საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკების უმეტესობაზე მაღალი რეიტინგი აქვს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და მისი ინსტიტუტების გამჭვირვალობის მაღალი დონით.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალურ და თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, შეზღუდული რაოდენობის გადასახადები და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, მნიშვნელოვნად შემცირებული ადმინისტრაციული პროცედურები, უცხო ქვეყნებთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული, ინტეგრირებული და მულტი მოდალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განათლებული, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა წარმოადგენს საქართველოში წარმატებული ბიზნესისათვის მყარ საფუძველს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით, მოდიფიკაციის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, რაც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა ფასს 9-ისა და ფასს 15-ის, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. (იხილეთ შენიშვნა 3 ჯგუფის მიერ მიღებული ახალი და შესწორებული სტანდარტებისთვის). ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდეა გამოყენებული, იხილეთ შენიშვნა 24-ში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურირებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლი წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“)) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ჯგუფი გარიგებებს აქციონერებთან დებს. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა, როდესაც ის თანმიმდევრულია გარიგების ბუნებასთან, აღიარებს ნებისმიერ შემოსულობასა და ზარალს კაპიტალის მფლობელებთან ერთად, პირდაპირ კაპიტალის მეშვეობით და თვლის ამ გარიგებებს დამატებითი კაპიტალის შენატანების შემოსვლად ან დივიდენდების გადახდად. მსგავსი ტრანზაქციები არა კაპიტალის მფლობელებთან ერთად ან აქციონერების საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ დაკავშირებულ მხარეებთან ერთად აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებთან“ შესაბამისობაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არასაკონტროლო წილების შეძენა და გაყიდვა. არასაკონტროლო წილის მფლობელებთან ოპერაციების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს ეკონომიკური საწარმოს მოდელს. ნებისმიერი სხვა შეძენის ღირებულებასა და შეძენილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, კაპიტალის ოპერაციის სახით, აისახება უშუალოდ კაპიტალში. ჯგუფი გაყიდული არასაკონტროლო წილის გაყიდვიდან მიღებულ ანგარიშსწორებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოებია, რომლებზეც ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებს მათ და, როგორც წესი, ჯგუფი მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს ინვესტორის წილი შეძენის თარიღის შემდეგ ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით; (ii) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება; (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში ჯგუფის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩათვლით, ჯგუფი აღარ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება მეკავშირე საწარმოებში ჯგუფის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასვლა. როდესაც ჯგუფს აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი გაუნაწილებელი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების ცვლილება კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, საჭიროებისამებრ.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარია (აშშ დოლარი). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში, რაც ჯგუფის წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ")სავალუტო კურსით, აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო მოგებაში/(დანახარჯებში), წმინდად". წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაშია, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, რომელშიც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილად.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარს და ევრო 1 = 3.0701 ლარს.(2017 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.5922 ლარს და 1 ევრო = 3.1044 ლარს)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და მშენებლობებს, რომლებიც დასრულებისას კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები

გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როდესაც შესაფერისია, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში „სხვა არასაოპერაციო შემოსავალში/(დანახარჯებში), წმინდად".

ცვეთა. მიწას და მიმდინარე მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	ცვეთა არ ერიცხება
მიწა	
შენობა - ნაგებობები	3-50 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	2-18 წელი
ავტომობილები	2-10 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	2-5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვის დანახარჯები, აისახება ხარჯებში გაწევისთანავე.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 1-5 წლის განმავლობაში. ამორტიზაციის საფასური წარმოდგენილია მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების" ნაწილში (შენიშვნა 14).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გამლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 19.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *(“ECL”).* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური

საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში. საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ჯგუფის ყველა აქტივი ექცევა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შედგება „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან" და „ფულადი სახსრებისგან და მათი ეკვივალენტებისგან".

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI"). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფი იყენებს გაუფასურების ზოგად მოდელს, რაც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო ხარისხს.

შენიშვნა 19 გვაწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და დაშვებების ტექნიკების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც მოიცავს იმის განმარტებას, თუ როგორ ითვალისწინებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე..

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით. თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და ჯგუფი შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. ჯგუფი შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარება შეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები) დისკონტირებულ თანხასა და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით" ("AC"), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ხვდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოიცავს „სავაჭრო და სხვა დავალიანებებს" და „ნასესხებ სახსრებს" ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულებების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ("catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სავაჭრო დავალიანებები ძირითადად მოიცავს არაუზრუნველყოფილ დავალიანებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ, შეძენილი პროდუქციისთვის, რომელიც შენიშვნა 1-ში აღწერილი სააგენტო ურთიერთობის შედეგადა არის შეძენილი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

პირობითი საშემოსავლო საგადასახადო დავალიანება, რომელიც დადგებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა “ „საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების“ ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დე ბიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, კორპორაციული მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივები წარდგენილი იყო წმინდა საფუძველზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები მოხსენებულია სხვა საგადასახადო მოთხოვნაში, წმინდად და სხვა საგადასახადო დავალიანებაში, წმინდად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ექვემდებარება დღგ-ს ადგილობრივი გაყიდვებისთვის, ხოლო საექსპორტო გაყიდვები თავისუფალია დღგ-სგან. შესაბამისად, იმის გამო, რომ კომპანია წინასწარ იხდის დღგ-ს ფილიალისგან პროდუქციის შეძენისას, ამავე დროს ის თავისუფალია დღგ-სგან ამ პროდუქციის საექსპორტო გაყიდვებისას (შენიშვნა 1). სხვაობის შედეგად, ჯგუფი აგროვებს დღგ-ს წინასწარი გადახდის მნიშვნელოვან ნაშთებს, რომელიც ჩაითვლება სხვა საგადასახადო დავალიანებაში წლის განმავლობაში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი მისი დაარსების შემდეგ გაიზარდა ქარხანა N1 და ქარხანა N3-ს კომპანიასთან შერწყმის შედეგად (შენიშვნა 11).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება დღგ-ს გარეშე.

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვები. კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსხმის მომსახურების გაწევას ფილიალისთვის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე (შენიშვნა 1). ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება დროის განმავლობაში იმ საანგარიშო პერიოდის დროს, როდესაც ეს მომსახურება გაიწევა, პროდუქციის რაოდენობის მითითებით და შესატყვისი ფასით თითოეულ ბოთლზე, როგორც შეთანხმებით არის განსაზღვრული. ამონაგები აღიარდება იმ თანხაზე, რომელზეც კომპანიას ინვოისის გაცემის უფლება აქვს. კლიენტზე ინვოისი გაიცემა ყოველთვიურ საფუძველზე და ანაზღაურება გადახდილი უნდა იყოს ინვოისის გაცემისას.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, ჯგუფი ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა.

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), რომელთა საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, მიმართ გამოყენებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც ილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების მიმართ გამოყენებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების საფუძველზე. კომპანია წარმოადგენს თავდაპირველად ფილიალისგან შეძენილი ბორჯომის პროდუქციის გაყიდვების აგენტს. ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების საფუძველზე აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია კლიენტს მიაწვდის პროდუქციას.

მიწოდება არ განხორციელდება მანამ, სანამ პროდუქცია არ იქნება მიწოდებული კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან კლიენტმა მიიღო გაყიდვების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ამონაგები გაყიდვებიდან, რომელიც სააგენტო შეთანხმების საფუძველზეა, ფასდება გაყიდული საქონელის მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით (გაყიდვების ფასი) ან თვითღირებულებით შემცირებული მოთხოვნით (შეძენის ფასი). ტრანსპორტირების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონელის მომწოდებლისგან კლიენტამდე მიტანასთან, კლასიფიცირებულია როგორც „დისტრიბუციის ხარჯები“ მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სხვა სრული შემოსავლის ნაწილში.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 22-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადები 20%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა 142 ათასი აშშ დოლარით გაზრდა ან 103 ათასი აშშ დოლარით შემცირება (2017 წლის 31 დეკემბერი: 137 ათასი დოლარით გაზრდა, 117 ათასი დოლარით შემცირება.)

სააგენტო შეთანხმებების შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება. ხელმძვანელობამ გამოიყენა განსჯა ამონაგების ბრუტო ნეტოს წინააღმდეგ საფუძველზე შესაფასებლად და მოსახსენებლად და განსაზღვრა, რომ ამონაგები ფილიალის საქონლის გაყიდვიდან (საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ) უნდა აღირიცხოს შეძენის ფასის გამოკლებით, ვინაიდან ჯგუფი ასრულებს აგენტის როლს მთელს გაყიდვის შეთანხმებაში. გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა ფაქტორები იმის განსასაზღვრად, ჯგუფი მოქმედებდა როგორც აგენტი თუ მთავრი მოქმედი პირი, რაც მთავარია, არის თუ არა ჯგუფი მთავარი მოვალე კლიენტისათვის, აქვს თუ არა მარაგებისა და საკრედიტო რისკი და ფასის დადგენისას მოქმედების თავისუფლება. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ ჯგუფს არ გააჩნია გაყიდვების განყოფილება და გაყიდვების პირობები (რაც მოიცავს გაყიდვების ფასებსა და რაოდენობებს) თანხმდება ფილიალსა და საბოლოო კლიენტებს შორის პირდაპირ.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩაითვლებოდა მთავარ მოქმედ პირად და არა აგენტად, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოადგენდა ბრუტო ამონაგებს 17,262 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 16,146 ათასი აშშ დოლარი) და გაყიდვების ღირებულება შეადგენდა 16,838 ათას აშშ დოლარს (2017: 15,555 ათასი აშშ დოლარი)

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფში მყოფი თითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის განსაზღვრისას გამოყენებული იყო ხელმძღვანელობის განსჯა. აი დი ეს ბორჯომი გრუფის ქართული საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტად განისაზღვრა აშშ დოლარი იმის საფუძველზე, რომ : a) საწარმოები მნიშვნელოვნად ინტერ-დაკავშირებულია და ისინი ერთ ბიზნესად უფრო მუშაობენ, ვიდრე ავტონომიურად; b) ქართული ოპერაციების ამონაგებები და დანახარჯები დივერსიფიცირებულია გარკვეული რაოდენობის ქვეყნებში და ამონაგების და დანახარჯების მხრივ არცერთი ეკონომიკური გარემო არ დომინირებს; c) მეორადი მაჩვენებლები გამოყოფს აშშ დოლარს, როგორც ვალუტას, ფინანსური საქმიანობის უმეტესობაში და ფულადი სახსრების შენარჩუნება აშშ დოლარშია. ფუნქციონალური ვალუტა რომ სხვაგვარად შეირჩეს, უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ზარალი სხვაგვარი იქნებოდა.

ინვესტიციების კლასიფიკაცია. 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ გაყიდა ნაწილი მისი წილისა შვილობილ საწარმოში (შენიშვნა 1), რამაც მფლობელობის წილი 19.7%-მდე შეამცირა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ინვესტიციის მიმღებზე მნიშვნელოვანი გავლენის არსებობის განსასაზღვრად გამოყენებული იყო ხელმძღვანელობის განსჯა. ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ფლობს 20% ნაკლებ წილს, კომპანიას გააჩნია იმის ძალაუფლება, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმღების ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაში და ინვესტიცია ს აღრიცხავს, როგორც ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში კაპიტალ მეთოდის მიხედვით (შენიშვნა 3). ხელმძღვანელობის განსჯა ეფუძნება შემდეგს:

- კომპანიას და ინვესტიციის მიმღებს ჰყავთ ერთიდაიგივე ხელმძღვანელობა
- კომპანია ჩართულია პოლიტიკის შემუშავების პროცესში
- კომპანია ინვესტიციის მიმღებისთვის არსებითი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა ფასს 9 და ფასს 15 სტანდარტები პირველად მიიღო იმ წლიური საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დაიწყო 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფმა ასევე არჩია ფასს 16 ადრეული მიღება 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტების მიღების შედეგად ჯგუფს მოუხდა მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა და რეტროსპექტიული კორექტირებების განხორციელება. ამ სტანდარტების მიღების გავლენა, განმარტებულია ქვემოთ.

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები" - მიღება ჯგუფმა ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. ჯგუფმა არჩია შესადარისი ციფრების არ გადაანგარიშება და ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 24 - ე შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულებით იყო გატარებული. ცვლილებებს ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ადგილი არ ჰქონიათ,

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები რეკლასიფიცირდა ასს 39 -ის მიხედვით სესხების და მოთხოვნების ("L&R") შეფასების კატეგორიიდან სტანდარტის მიღების თარიღით. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები რეკლასიფიცირდა ასს 39 -ის მიხედვით სესხების და მოთხოვნების ("L&R") შეფასების კატეგორიიდან ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში ფასს 9-ით, სტანდარტის მიღების თარიღით. სავაჭრო მოთხოვნების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმნიშვნელო იყო, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული თანხების კორექტირებები საჭირო არ გახდა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" მიღება. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და მეთოდის ფარგლებში აირჩია ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხერხი. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებებში. ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ იყო არსებითი.

ფასს 16 -ის მიღება, „იჯარა". ჯგუფს ადრე მიღებული აქვს ფასს 16, რომელიც მოითხოვს იჯარის ვალდებულებების აღიარებას იმ იჯარის ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო როგორც „საოპერაციო იჯარა" ბასს 17 *იჯარები -ს* მიხედვით. ამ სტანდარტის მიღებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფზე.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძლება)

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ფაისკ (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი) 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შე ზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგ., მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო.

გადასინჯული ასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა

ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი მათ გამოყენებას და მათი გავლენის შეფასებას დაიწყებს 2020 წლის იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

არ არის მოსალოდნელი, რომ შემდგომი საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები რაიმე არსებით გავლენას იქონიებენ ჯგუფზე მათი მიღების შემდეგ:

- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	CIP*	სულ
ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარს	6,371	3,754	164	174	-	10,463
დამატებები	85	95	-	22	11	213
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	(63)	-	(3)	-	(66)
2017 წლის 31 დეკემბერს	**6,456**	**3,786**	**164**	**193**	**11**	**10,610**
დამატებები	149	35	-	11	8	203
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	(2)	-	-	(2)
2018 წლის 31 დეკემბერს	**6,605**	**3,821**	**162**	**204**	**19**	**10,811**
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 1 იანვარს	(1,559)	(2,694)	(61)	(103)	-	(4,417)
ცვეთის ხარჯი	(312)	(321)	(25)	(31)	-	(689)
გასვლები	-	61	-	3	-	64
2017 წლის 31 დეკემბერს	**(1,871)**	**(2,954)**	**(86)**	**(131)**	**-**	**(5,042)**
ცვეთის ხარჯი	(325)	(228)	(24)	(29)	-	(606)
გასვლები	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერს	**(2,196)**	**(3,182)**	**(110)**	**(160)**	**-**	**(5,648)**
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	**4,585**	**832**	**78**	**62**	**11**	**5,568**
2018 წლის 31 დეკემბერს	**4,409**	**639**	**52**	**44**	**19**	**5,163**

(*) CIP –მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	43	43
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	2,221	2,165
ავტომობილები	5	2
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	73	56
სულ	**2,342**	**2,266**

კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს და გარანტორს აი დი ეს ბორჯომი გრუფის საწარმოების მიერ ნასესხები სახსრებისთვის და ამასთან დაკავშირებული გარკვეული შეთანხმებების მონაწილეა. ამ შეთანხმებების პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დეფოლტი, რამაც შესაძლებელია შესაბამის გამსესხებლებს მისცეს სესხების ადრეული დაფარვის მოთხოვნის საშუალება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აი დი ეს ბორჯომი გრუფის საწარმოებმა დაარღვიეს შეთანხმების პირობები მათ სასესხო შეთანხმებებში, თუმცა, წლის ბოლომდე მიღებულ იქნა წერილი კრედიტორებისგან, სადაც ისინი უარს ამბობენ ბანკის უფლებაზე, მოითხოვოს სესხის დაუფარავი თანხების დაჩქარებულად დაფარვა. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 17.

ჯგუფის ძირითადი საშუალებების მუხლების წმინდა საბალანსო ღირებულება, რომელიც უზრუნველყოფის სახით დაგირავებულია ნახსენები ნასესხები სახსრებისთვის, იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	4,409	4,585
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	639	832
ავტომობილები	52	78
მარკეტინგისა და მერჩენდაიზინგის აღჭურვილობა	44	62
მიმდინარე მშენებლობები და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	19	11
სულ	**5,163**	**5,568**

კომპანიამ მისი უძრავი და მოძრავი ქონება უზრუნველყოფის სახით ჯგუფის ზემოთხსენებული ნასესხები სახსრებისთვის დააგირავა

8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წილი შვილობილ საწარმოში - ქარხანა N2-ში (შენიშვნა 1) იყო 19,7% (2017 წლის 31 დეკემბერი: 24.7%)

შვილობილი საწარმო საქართველოშია დაარსებული, მისი აქციები არ არის ბირჟაზე სავაჭროდ განთავსებული და შესაბამისად არ გააჩნია გამოქვეყნებული საბირჟო ფასების კოტირება.

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	808	788
წილი შვილობილი საწარმოს მოგება/(ზარალი)-დან	14	20
შვილობილ საწარმოში წილის გასვლა (შენიშვნა 1)	(163)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**659**	**808**

8 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში (გაგრძელება)

2018 წლის მარტში, კომპანიამ ქარხანა N2-ში მისი წილის 5%, რომლის საბალანსო ღირებულება 164 ათასი აშშ დოლარი იყო, მიყიდა მშობელს 247 ათას აშშ დოლარად (610 ათასი ლარი). სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურების თანხას შორის მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხა, როგორც შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლიდან. გასვლის გარიგების შედეგად მისაღები თანხის მოთხოვნა ფილიალისთვის ნასესხები სახსრების დავალიანებიდან გამოიქვითა იმავე თვეს.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი საწარმოს შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი აქტივები	2,164	1,982
გრძელვადიანი აქტივები	1,839	1,459
მოკლევადიანი ვალდებულებები	638	145
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
ამონაგები	1,568	1,445
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	67	80
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	67	80

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ანგარიშების მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	5,854	11,539
სავაჭრო ანგარიშების მოთხოვნები მესამე მხარეებისგან	-	1
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**5,854**	**11,540**
გადახდილი ავანსები	95	84
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,949**	**11,624**

სავაჭრო დავალიანება 4,879 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 9,839 ათასი აშშ დოლარი) შემცირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

სულ ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მოთხოვნებისგან, რომლების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება. ხელმძღვანელობა გამოითვლის აღდგენად თანხას, როგორც კლიენტისგან მისაღებ მოსალოდნელ სამომავლო ფულადი ნაკადების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას (რაც ეფუძნება შესაბამის, ყველაზე ახალ ინფორმაციას კლიენტის შესახებ) და ადარებს მას წლის ბოლოს მოთხოვნების ნაშთებს. თუ აღდგენადი თანხა მოთხოვნის თანხაზე მცირეა, ჯგუფი აღიარებს ამ თანხის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილი არ ჰქონია არსებითი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებას. აგრეთვე, ინდივიდუალური შეფასებისთვის, გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური კლიენტებისა და იმ სექტორების პერსპექტივების შეფასება, რომელშიც კლიენტები მუშაობენ.

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

არაგაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი:

ათასობით აშშ დოლარში	2017 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	2,793
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული:	
- 90 დღემდე	1,460
- 90-დან 180 დღემდე	1,303
- 180-დან 365 დღემდე	2,109
- 365 დღეზე მეტი	3,875
სულ სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 22)	**11,540**

10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ნაშთები, რომელიც გადასახადია მოთხოვნის შესაბამისად	4,451	664
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**4,451**	**664**

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი. საბანკო ნაშთები, რომელიც გადასახადია მოთხოვნის შესაბამისად ინახება საქართველოს ორ საუკეთესო ბანკში, რომლების რეიტინგი არის Ba3, Moody-ს სარეიტინგო სისტემით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 ათასი აშშ დოლარი დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტებში (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 352 ათასი აშშ დოლარი)

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 1 ლარით, რისი შენატანიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად განხორციელდა. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი, 2015 წლის 16 იანვარს, როდესაც მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 830 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და მეორე, ქარხნები N1 და N3-ის შერწყმის შედეგად კომპანიის კაპიტალში განხორციელდა შენატანი 2,612 ათასი აშშ დოლარის და 1 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად.

12 ნასესხები სახსრები

ათასობით აშშ დოლარში	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრების, რომელიც დაკავშირებული მეკავშირე მხარეებთან, ამჟამინდელი წილი (შენიშვნა 22)	აშშ დოლარი	12%	1,319	1,324
სულ, ერთი წლის განმავლობაში დასაფარი ნასესხები სახსრები			**1,319**	**1,324**

სესხის მოკლევადიანი ბუნების გამო, მისი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის რეალურ ღირებულებას, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებით, საბაზრო განაკვეთით, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იმ ნასესხები სახსრების ნაშთები, რომელიც დასაფარია ერთი წლის შემდეგ, 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	ვალუტა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მეკავშირე მხარეებთან დაკავშირებული გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 22)	USD	12%	1,319	2,891
შემცირებული: გრძელვადიანი ნასესხები სახსრების ამჟამინდელი წილი			(1,319)	(1,324)
სულ, ერთი წლის შემდეგ დასაფარი ნასესხები სახსრები			**-**	**1,567**

ნასესხები სახსრები მოპოვებულია აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასგან, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს ქართული ფილიალისგან, რომელსაც კომპანია ჩამოსასხმელ მომსახურებას უწევს. საპროცენტო და ძირი თანხის დავალიანებები გამოიქვითება შესაბამისი მოთხოვნებით ფილიალისგან ყოველთვიურად.

წმინდა ვალის შეჯერება. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის ანალიზს წმინდა ვალისა და ჯგუფის საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების მოძრაობის შესახებ ყველა წარდგენილი პერიოდისთვის:

ათასობით აშშ დოლარში	ნასესხები სახსრები
წმინდა ვალი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,042**
ფულადი ნაკადები	-
საფინანსო ხარჯები (შენიშვნა 16)	424
გამოქვითვა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებით	(1,575)
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,891**
ფულადი ნაკადები	-
საფინანსო ხარჯები (შენიშვნა 16)	250
გამოქვითვა შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვის მოთხოვნით	(247)
გამოქვითვა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებით	(1,575)
წმინდა ვალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,319**

13 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დავალიანებები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა 22)	9,141	13,365
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	**9,141**	**13,365**
თანამშრომელთა სარგებლის დაგროვილი ხარჯები	137	118
სხვა	3	5
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	**9,281**	**13,488**

მეკავშირე მხარეების მიმართ სულ სავაჭრო დავალიანებების ნაშთები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფილიალისგან შეძენილი პროდუქციის დავალიანებას მხარეებს შორის არსებული სააგენტო ურთიერთობების ფარგლებში და დენომინირებულია ლარში.

14 მომსახურების ღირებულება

ათასობით აშშ დოლარში	2018	2017
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	2,300	1,970
ძირითადი საშუალებების ცვეთა	448	531
სხვა	5	9
სულ მომსახურების ღირებულება	**2,753**	**2,510**

15 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასობით აშშ დოლარში	2018	2017
ოფისის მხარდაჭერა	225	250
ძირითადი საშუალებების ცვეთა	190	185
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	162	174
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	69	75
საქველმოქმედო დანახარჯები	37	39
საკომუნიკაციო დანახარჯები	25	25
ქირავნობის დანახარჯები	21	26
პროფესიული მომსახურება	13	25
სხვა	93	90
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**835**	**889**

16 ფინანსური ხარჯები

ათასობით აშშ დოლარში	2018	2017
მეკავშირე მხარეებისგან მიღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 22)	250	424
ამჟამინდელი ღირებულების დისკონტირების ანულირება	224	701
სულ ფინანსური ხარჯები, რომლებიც აღიარებულია მოგება ან ზარალში	**474**	**1,125**

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე.

თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა. საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს (გაშლილი ხელის პრინციპით) შორის. ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.
კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო ფასების გამოწვევა. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება იგი მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის და/ან საერთო ოპერაციებისათვის.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მისი ფასწარმოქმნის პოლიტიკა გაშლილი ხელის პრინციპის მიხედვით არის და დანერგა ადექვატური შიდა კონტროლი, იმისათვის, რომ შესაბამისობაში იყოს ახალ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან.

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. ჯგუფმა უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია აი დი ეს ბორჯომი გრუფის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 7). მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ჯგუფისთვის. აი დი ეს ბორჯომი გრუფი შესაბამისობაში იყო სავალო შეთანხმებულ პირობებთან 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მე-7 შენიშვნაში განმარტებული პირობების გარდა.

კომპანია გარანტორი იყო ჯგუფის ნასესხები სახსრებისთვის, რომლების საბალანსო ღირებულება შეადგენს 40, 145 ათას აშშ დოლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 22,012 ათასი აშშ დოლარი)

კომპანია თანამსესხებელი იყო ჯგუფის ნასესხების სახსრებისთვის, რომლის საბალანსო ღირებულება 8,406 ათასი აშშ დოლარი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2017 წლის 31 დეკემბერი: 32,624 ათასი აშშ დოლარი)

18 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზნები გახლავთ მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. ჯგუფის ხელმძღვანელობა კაპიტალ სტრუქტურას რეგულარულ საფუძველზე განიხილავს.

ჯგუფი განიხილავს, რომ მთლიან მართული კაპიტალი უნდა იყოს კაპიტალისა და ფინანსური ვალის ჯამი, რომელიც მოიცავს მოკლევადიან და გრძელვადიან ნასესხებ სახსრებს, ისე, როგორც ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. იმ კაპიტალის ოდენობა, რომელსაც მართავს ჯგუფი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 10, 935 ათასი აშშ დოლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 9,273 ათასი აშშ დოლარი)

19 ფინანსური რისკის მართვა.

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და არა საბალანსო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას. გამოცემული ფინანსური გარანტიებისთვის, კრედიტის გაზრდის ვალდებულებების, გაუქმებული საკრედიტო ხაზების და ექსპორტის / იმპორტის აკრედიტივებისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმუმი არის ვალდებულების ოდენობა.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. არ არსებობს გაცემული ფინანსური გარანტიები, კრედიტის გაცემის ვალდებულებები, გაუქმებული საკრედიტო ხაზები და ექსპორტის / იმპორტის აკრედიტივები.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით შემდეგია:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	4,451	664
სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშები (შენიშვნა 9)	5,854	11,540
სულ ფინანსური აქტივები	**10,305**	**12,204**

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობის ყველაზე დიდი რისკია; ამიტომ ხელმძღვანელობა სიფრთხილით მართავს მის დაქვემდებარებას საკრედიტო რისკისადმი.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებულია მეკავშირე მხარეებთან, ვისი საკრედიტო ხარისხიც არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ და რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება საქართველოს ორ საუკეთესო ბანკში, რომლების საკრედიტო ხარისხის მონიტორინგიც რეგულარულად ხორციელდება იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც მოწოდებულია დამოუკიდებელი საკრედიტო რეიტინგების Moody's მიერ (შენიშვნა 10).

ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური ვალდებულებები მცოცავი განაკვეთით, რითაც ზღუდავს საპროცენტო განაკვეთის რყევებთან დაკავშირებულ რისკებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი (EAD) არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტორების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ("EIR") ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირება ხდება ინსტრუმენტის *მომსახურების ვადის პერიოდში. მომსახურების ვადის პერიოდი* არის სავალო ინსტრუმენტების დაფარვის ვადამდე დარჩენილი სახელშეკრულებო პერიოდი, შესწორებული მოსალოდნელი წინასწარგადახდებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა ქმნის *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში.

ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

ECL-ის მოდელირება არ განსხვავდება შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც (a) მთლიანი საბალანსო ღირებულება და დისკონტირების განაკვეთი ემყარება ფულად ნაკადებს, რომლებიც ამოღებადი იყო აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ნაცვლად და (b) ECL ყოველთვის მომსახურების ვადაში ECL არის. POCI აქტივები არის ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას გაუფასურებული კრედიტით, როგორიცაა მაგალითად, გაუფასურებული სესხები, რომლებიც შეძენილია წარსულში საწარმოთა გაერთიანებისას.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:

  - მსესხებელი გარდაიცვალა;
  - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
  - მსესხებელმა დაარღვია ფინანსური პირობები (პირობა);
  - მოსალოდნელი ხდება, რომ დაიწყება მსესხებლის გაკოტრების პროცესი;

გამჟღავნების მიზნებისთვის ჯგუფის დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება ჯგუფის ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

ჯგუფი ახორციელებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები შედგება მეკავშირე მხარეების მოთხოვნებისგან ჩამოსასხმელი მომსახურების უზრუნველსაყოფად და სააგენტო საფასურისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო შედეგების საკრედიტო ზარალის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან მიმართებით. ჯგუფი განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული ნაშთისთვის, რომელიდან ერთერთს მივყავართ საკრედიტო ზარალამდე, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სცენარის ალბათობა შეიძლება ძალიან დაბალი იყოს. ინდივიდუალური შეფასება პირველ რიგში ეფუძნება ჯგუფის გამოცდილი ხელმძღვანელობის განსჯას და თანხმდება ხსენებულ მეკავშირე მხარეებთან აი დი ეს ბორჯომი გრიფის დონეზე. განსჯა რეგულარულად მოწმდება იმისთვის, რომ შეამციროს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივს ზარალს შორის.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნებთან მეკავშირე მხარეებისგან.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც ჯგუფის ფინანსური შედეგები მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ იმ გაცვლითი კურსების ცვლილებებით, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას. ჯგუფი ახორციელებს გარკვეულ ტრანზაქციებს, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს ცვლადებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რისკის სამართავად, ამასთანავე ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს შეამციროს მსგავსი რისკი უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მართვისათვის.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
ათასობით აშშ დოლარში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა ბალანსის პოზიცია
ლარი	4,883	(9,141)	(4,258)	10,189	(13,359)	(3,170)
ევრო	-	-	-	2	-	2
წმინდა პოზიცია	**4,883**	**(9,141)**	**(4,258)**	**10,191**	**(13,359)**	**(3,168)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არამონეტარული აქტივები არ ითვლება რომ გაზრდის რაიმე სახის მატერიალურ სავალუტო რისკს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს მოგებისა და ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებულ სავალუტო კურსებში გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, რაც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

ათასობით აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარის გამყარება 10 %-ით (2017 წლის 31 დეკემბერი: გამყარება 10%-ით)	(426)	(317)
ლარის გაუფასურება 10 %-ით (2017 წლის 31 დეკემბერი: გაუფასურება 10%-ით)	426	317

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ის რისკია, როდესაც ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს გადახდის ვალდებულებები მათი დაფარვის ვადებში. ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგი და მართვა სიფრთხილით ხორციელდება. ჯგუფს გააჩნია დეტალური დაბიუჯეტება და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესი იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია ადექვატური ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები, რათა დააკმაყოფილოს გადახდის ვალდებულებები.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მომდევნო ცხრილი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ვალდებულებისთვის დარჩენილ სახელშეკრულებო დაფარვის ვადების შესახებ. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, რაც ეყრდნობა ყველაზე ადრინდელ ვადას, როდესაც ჯგუფს შესაძლოა მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს ძირითად და საპროცენტო ფულად ნაკადებს.

ათასობით აშშ დოლარში	1-დან 6 თვემდე	7 თვიდან 1 წლამდე	ერთ წელზე მეტი მაგრამ 2 წელზე ნაკლები	ორ წელზე მეტი მაგრამ 5 წელზე ნაკლები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო დავალიანებების ანგარიშები	9,141	-	-	-	9,141
ნასესხები სახსრები	787	609	-	-	1,396
სულ	**9,928**	**609**	**-**	**-**	**10,537**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სავაჭრო დავალიანებების ანგარიშები	13,365	-	-	-	13,365
ნასესხები სახსრები	787	787	1,575	133	3,282
სულ	**14,152**	**787**	**1,575**	**133**	**16,647**

20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაკეთებულია ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებისა“ და ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასების“ მიხედვით. *რეალური ღირებულება* წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ნაწილისათვის არ არსებობს ხელმისაწვდომი ბაზარი, ამიტომ განსჯა აუცილებელია რეალური ღირებულების შესაფასებლად, რაც ეყრდნობა მიმდინარე ეკონომიკურ პირობებს და ინსტრუმენტისთვის მიკუთვნებად სპეციფიურ რისკებს. აქ წარმოდგენილი შეფასებები არ მიანიშნებს იმ თანხებზე, რომლებიც რეალიზებაც ჯგუფს შეეძლო ბირჟის ბაზარზე მისი კონკრეტული ინსტრუმენტის სრულად გაყიდვის შეხვევაში.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შემდეგი მეთოდები და დაშვებები გამოიყენა იმ ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლებისთვისაც მსგავსი ღირებულების შეფასება განხორციელებადია: რეალური ღირებულება შეფასდა რომ იქნება იგივე, რაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა დავალიანებების, ბანკის ოვერდრაფტების და ერთი წლის განმავლობაში დასაფარი სესხების საბალანსო ღირებულება, ფინანსური ინსტრუმენტების მოკლევადიანი ბუნების გამო. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც მესამე დონის რეალური ღირებულებები რეალური ღირებულების იერარქიაში, ემპირიული მონაცემების გამოყენების გამო,

20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ჯგუფის სესხების საბალანსო ღირებულება რომელიც ერთი წლის შემდგე არის დასაფარი, აგრეთვე ითვლება, რომ არის რეალურ საბაზრო განაკვეთთან გონივრულად მიახლოებული იმ სესხებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის დონე და დაფარვის ვადები საანგარიშო თარიღისთვის.

ითვლება, რომ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მათი რეალური ღირებულების გონივრული შეფასებაა, რადგან ამოუღებადი თანხების ანარიცხი ითვლება საკრედიტო რისკის გავლენის ასახვისათვის საჭირო დისკონტირების გონივრულ შეფასებად

21 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები „FVTPL“-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები „FVOCI“-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები „FVOCI“-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა „FVTPL“-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი მოხვდა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში და ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარდა ამორტიზირებული ღირებულებით.

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	ურთიერთობა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,854	11,539
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	9,141	13,365
ერთი წლის განმავლობაში დასაფარი ნასესხების სახსრები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,319	1,324
ერთი წლის მერე დასაფარი ნასესხები სახსრები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	1,567

სავაჭრო დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიმართ შეძენის დღიდან ორ თვეში დასაფარი და უპროცენტოა. დავალიანების ნაშთი ფილიალისგან შეძენილი საქონლისთვის არი, შენიშვნა 1-ში განმარტებული სააგენტო ურთიერთობის ფარგლებში.

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლისა და დანახარჯები მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის იყო შემდეგი:

ათასობით აშშ დოლარში	ურთიერთობა	2018	2017
ამონაგები სააგენტო შეთანხმებების მიხედვით გაყიდვებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	423	591
ამონაგები ჩამოსხმის მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,923	5,277
დასრულებული ნაწარმის შეძენა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	19,741	15,555
საფინანსო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(250)	(424)

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები არიან გენერალური და რწმუნებული დირექტორები. მათთვის გადახდილი კომპენსაცია სრული განაკვეთით აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე მომსახურების გაწევისათვის შედგება საკონტრაქტო ხელფასებისა ბონუსებისგან 13 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2017: 13 ათასი აშშ დოლარი).

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრიდან წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება რაიმე სახის გავლენა იქონიოს ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის, ფასს 9 და ფასს 15-ით შესწორებული სააღრიცხვო პოლიტიკა იყო შემდეგი:

ფინანსური ინსტრუმენტები- შეფასების მთავარი პირობები.. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, ისე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადახდებით, გარდა იმათისა, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნას“ და „ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებებს. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა დავალიანებებს“ და „ნასესხებ სახსრებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგროც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა. ჩამოსხმის მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, წარმოებული საქონლის კონკრეტული რაოდენობის მინიშნებით კლიენტთან დადებული ჩამოსხმის შეთანხმების მიხედვით. გაყიდვების ფასი თითოეულ ბოთლზე განისაზღვრება შეთანხმებით.

IDS BORJOMI
GEORGIA

შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა 2018

1. კომპანია, მისი განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2015 წლის 8 იანვარს და ის მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შეიქმნა და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404485053.

კომპანია წარმოადგენს სს ბორჯომის N3 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N3) და სს ბორჯომის N1 ჩამომსხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N1) სამართალმემკვიდრეს, რომლების შერწყმა კომპანიასთან მოხდა 2015 წლის აპრილში.

ორივე ქარხანას, N1 და N3, ოპერირების ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ქარხანა N1 აშენდა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის დროს. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, განხორციელდა ქარხნების პრივატიზაცია და აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი.-ს მფლობელობის ქვეშ (ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერ კო ენ.ვი.-ს სამართალმემკვიდრე) ჩატარდა ეტაპობრივი რეკონსტრუქციები და მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის პირველი ეტაპი დაიწყო 1997 წელს, როდესაც განხორციელდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და წარმოების პროცესის გაუმჯობესება და მოდიფიცირება . მეორე ეტაპი დაიწყო 2004 წელს, რაც მოიცავდა ქარხანა N1-ს საწარმოო ობიექტების სრულ განახლებას და მოდერნიზაციას. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ჩამოსხმის ხაზები და ქარხნის შენობა-ნაგებობები განახლდა.

კომპანიის ერთადერთი მფლობელი არის აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ. ვი. (შემდგომში მშობელი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელს.

აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოებს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც, ერთობლიობაში წარმოადგენს აი დი ეს ბორჯომი გრუფს (შემდგომში ჯგუფი). აი დი ეს ბორჯომი გრუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ოპერირებას უწევს ჩამოსასხმელ ობიექტებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიებს საქართველოში, ლიეტუვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფს გააჩნია ბორჯომის ხეობაში და საქართველოს სხვა წყაროებში წყლის გამოყენების ლიცენზია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია ორი შვილობილი საწარმო- სს ბორჯომი (2018 წლის 31 დეკემბერი: 98.5%; 2017 წლის 31 დეკემბერი: 98.25%) და აი დი ეს ბორჯომი პოლანდ.

კომპანიამ შეიძინა სს ბორჯომის აქციების 93.23% და სს ბორჯომის N2 ჩამოსასხმელი ქარხნის (შემდგომში ქარხანა N2) აქციების 5% „ეი ბი სი ეწთერფრაიზის ეს. ეი“-სგან 2015 წლის იანვარში. სს ბორჯომი ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა, რომელიც ფლობს ქარხანა N2-ს აქციების 20% და შეძენის თავდაპირველი მიზანი იყო მშობელი კომპანიის დონეზე ქარხანა N2-ს აქციების ფლობის ზრდა. შესყიდვის მომენტში, მშობელი კომპანია პირდაპირ ფლობდა ქარხანა N2-ს აქციების 75%, ამიტომ, შესყიდვის ტრანზაქციამ გამოიწვია მშობლის წილების ზრდა ქარხანა N2-ში თითქმის 100%-მდე. 2018 წლის 2 მარტს, კომპანიის მიერ პირდაპირ ფლობილი 5% წილი ქარხანა N2-ში გაიყიდა მშობელ კომპანიაზე.

აი დი ეს ბორჯომი პოლანდ 2018 წლის მარტში დარეგისტრირდა, სადაც კომპანია 99%-ის მფლობელია. ახლად დაფუძნებული შვილობილი საწარმოს მიზანი აი დი ეს ბორჯომი გრუფის პროდუქციის პოლონეთში დისტრიბუციაა. შვილობილ საწარმოს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის.

ძირითადი საქმიანობა. საწარმოო ობიექტების ფლობის და კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების ყოლის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს ჩამოსასხმელ მომსახურებას აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასათვის, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ.ვი-ს საქართველოს ფილიალისთვის (შემდგომში ფილიალი), ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების მიხედვით. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია აწარმოებს მინერალური წყლების პროდუქციის უმეტეს წილს.

კომპანია, ასევე, ფილიალისგან შესყიდული ბორჯომის მინერალური წყლის ექსპორტს ახორციელებს უკრაინაში, მის ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსთვის.

მოქმედებს რა, როგორც ფილიალის გაყიდვების აგენტი, კომპანია წარმოქმნის ამონაგებს, რაც წარმოადგენს გაყიდული მარაგების ღირებულებასა და გაყიდვების ფასებს შორის სხვაობას.

თუმცა, კომპანიისათვის ფულადი ნაკადების შემოდინების თავდაპირველი წყარო მაინც ჩამოსხმის მომსახურებაა, რომელიც გაეწევა ფილიალს ორ მხარეს შორის ხელმოწერილი ჩამოსხმის მომსახურების შეთანხმების საფუძველზე. ჩამოსხმის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოიქმნება ფაქტობრივად წარმოებული ბოთლების რაოდენობის საფუძველზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2017 წელთან შედარებით, მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018 წელს. ზრდამ 12% შეადგინა.

ამონაგების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით:

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა, რაც უკავშირდება მთლიანად ბორჯომი გრუფის გაყიდვების ზრდას.
- ახალი პროდუქციის წარდგენა
- საორგანიზაციო და წარმოების პროცესების გაუმჯობესება; და ა.შ.

კომპანიის ამონაგები პირდაპირ კავშირშია წარმოებული ბოთლების რაოდენობასთან, მაშინ, როდესაც მომსახურების საფასური ფიქსირებულად შენარჩუნდა ბოლო წლების განმავლობაში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ბორჯომი, თორის ქუჩა #39.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია აქტიურად არის ჩაბმული ახალი გენერალური გეგმის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელია, რომ ჩატარდება სასაწყობო ნაწილის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და რეორგანიზაცია.

3. კომპანიის მთავარი ფინანსური და არა - ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასობით აშშ დოლარში	**2018**	**2017**
ამონაგები გაყიდვებიდან სააგენტო შეთანხმებების მიხედვით	423	591
მომსახურების ამონაგები	5,923	5,277
მომსახურების ხარჯი	(2,753)	(2,510)
სულ აქტივები	20,216	22,761

2018 და 2018 წლებში წარმოებული ბოთლების რაოდენობა:



	Glass	Pet	Can
2017	133,576,616	138,891,447	12,937,682
2018	144,740,000	155,752,190	23,904,480

მთავარი ცვლილებების განმარტება:

1. მომსახურების ღირებულების გაზრდა ამონაგების გაზრდის შედეგია (ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა). ამონაგების გაზრდის შესახებ განმარტებები მოცემულია ზემოთ, პირველ პარაგრაფში. კომპანიის მომსახურების ხარჯი ძირითადად შედგება წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ცვეთის და თანამშრომლების ხარჯებისგან. წარმოების გაზრდილმა მოცულობამ გამოიწვია ნამუშევარი საათების გაზრდა და შესაბამისად ხელფასების ხარჯების ზრდაც;
2. სულ აქტივების შემცირება ფილიალისგან სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების შემცირების შედეგია. მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი წილის ანგარიშსწორება იგეგმება 2019 წელს.

3. როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა ყველა სახის პროდუქციაში, რაც, უპირველესად ბორჯომის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდის შედეგია.

არა-ფინანსური მაჩვენებლები

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიას თანამშრომლების რაოდენობა 330-350 -ის ფარგლებშია. კომპანიას გააჩნია კარგად სტრუქტურირებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარების მქონე კანდიდატების დაქირავება ხდება კომპანიის მიერ.

როგორც დამქირავებელი, კომპანია უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინსტრუმენტებსა და თანმიმდევრულ საკვალიფიკაციო ტრენინგებს თანამშრომლებისთვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კლიენტებისათვის საუკეთესო მომსახურების გაწევა. კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს განსაკუთრებულ დაწინაურების შესაძლებლობებს, დადებით სამუშაო გარემოს, კონკურენტუნარიან ხელფასებს შრომისმოყვარე, მიზანდასახული პირებისათვის, სადაც თანამშრომელთა უფლებები კარგად დაცულია და კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ხორციელდება ამის მონიტორინგი. კომპანიის საწარმოო ობიექტები, რომლებიც მდებარეობს ქალაქ ბორჯომში, რეგიონში მთავარი დამსაქმებელია.

(ii)ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიამ მისი ოპერირების წლების განმავლობაში, ზრუნვისა და პროფესიონალიზმის მეშვეობით, კლიენტებთან ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობა ჩამოაყალიბა, რამაც გამოიწვია საქონლის დაბრუნების და /ან კლიენტების უკმაყოფილების მცირე რაოდენობა.

კომპანიის მთავრი მომწოდებლები და კლიენტები დაკავშირებული მხარეებია, თუმცა ტრანზაქციები ხორციელდება შესაბამის პროფესიონალურ ჩარჩოების ფარგლებში და სათანადო მზრუნველობით.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. კომპანიის საგადასახადო სააღრიცხვო სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია.

კომპანიის ბუღალტერიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე პერსონალით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, იმისათვის, რომ თვალყური ადევნონ ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომპანიაზე.

კომპანიას საგადასახადო ორგანოებთან დავის შეზღუდული ისტორია გააჩნია და საერთოდ არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმის შემთხვევა.

4. იმ თანხების დამატებითი განმარტებები, რომლებიც მოცემულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში

კომპანიის ლიდერი პოზიცია ბაზარზე და ძლიერი ფინანსური წარმადობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის გამოწვეული:

- *კომპანიის ხელმძღვანელობა*: კომპანიის ხელმძღვანელობას საკმარისი სამუშაო გამოცდილება აქვს ამ ინდუსტრიაში და ისინი 100%-ით ჩართულები არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც საშუალებას იძლევა ბიზნესში მოქნილობისა და ცვლილებების საქმის კურსში ყოფნის;
- *ჩამოსხმის მომსახურების ტრადიციებისა და წარმატებული ოპერირების ისტორია.*

5. მთავარი რისკები და გაურკვევლობა

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის ხელმძვანელობამ დანერგა მთელი რიგი საკონტროლო პროცედურები, იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ჯანსაღი მოვალეების ბალანსი, გამოავლინოს რისკფაქტორები და დროულად უპასუხოს მათ. კომპანიის მოთხოვნებისა და დავალიანებების თითქმის 100% დაკავშირებული მხარეებისგან ან მათ მიმართ არის და არ ყოფილა დეფოლტის ან/და მათი ვალდებულებების შესრულების მნიშვნელოვანი შეფერხების შემთხვევები.

კომპანიისათვის მთავარი რისკად საკრედიტო რისკის კონცენტრაცია და მნიშვნელოვნად მის ერთადერთ კლიენტზე- აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია, აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო ენ, ვი.-ს ქართულ ფილიალზე დამოკიდებულება შეიძლება ჩაითვალოს.

ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას ერთადერთი კლიენტი ჰყავს და სპეციალიზებულია მხოლოდ ბორჯომის უგაზო და მინერალური წყლის წარმოებაზე, იმ ბაზრის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, სადაც ბორჯომი იყიდება, კომპანიის მთავარი წარმატებული განვითარების ასპექტია.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება

არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები ექცევა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებებისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის ქვეშ. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. კომპანია არ იყენებს ცვლადებს სავალუტო რისკის სამართავად, ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს ამ რისკისთვის თავის არიდებას უცხოური ვალუტაში მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ერთ დონეზე (მეტნაკლებად სტაბილურად) მართვით.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს გადახდის ვალდებულებები მათი დაფარვის ვადებში. კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მონიტორინგი და მართვა ფრთხილად ხორციელდება. კომპანიას გააჩნია დეტალური ბიუჯეტირებისა და ფულადი სახსრების პროგნოზირების პროცესი, რათა დარწმუნდეს, რომ მას ადექვატური რაოდენობის ფულადი სახსრები გააჩნია იმისათვის, რომ მისი გადახდების ვალდებულებები შეასრულოს.

შენიშვნა:. კომპანია არ იყო ჩართული არანაირ კვლევებისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში ამ პერიოდისათვის და არ ჰქონია ადგილი კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვას.*

კომპანიის შვილობილი საწარმოები- სს ბორჯომი უოთერს ქაღალდზე დაფუძნებული კომპანიაა და არ აწარმოებს არანაირ ოპერაციებს, მაშინ, როდესაც აი დი ეს ბორჯომი პოლანდ-ს არ ჰქონია რაიმე სახის ოპერაციები საანგარიშო პერიოდისთვის. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები, ფაქტობრივად გვაწვდის ინფორმაციას შპს აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიას წარმადობის შესახებ

2019 წლის 13 სექტემბერი

შოთა ბარამიძე
გენერალური დირექტორის, გეორგი პავლოვის სახელით
2019 წლის 22 ივლისს დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191185679
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	597999990
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	99064200523419

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდექვს სექტემბერს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - აი დი ეს ბორჯომი ჯორჯია გრუფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 98.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 100 (ასი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18